ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 1 აპრილი, 2020 №77 (8341) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ენზელ მკოიანი: „პატრიოტთა ალიანსის წევრმა სამველ პეტროსიანმა ჩემი მოკვლა ცადა“

სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

გვ.5

„ხელისუფლებამ თითო ოჯახზე 1.000-1.000 ლარი უნდა დაარიგოს“

გვ.2

ლევან ბერძენიშვილი: „ქართულ ოცნებას“ ეკლესიის ეშინია“

„ამ ვირუსის შემდეგ სათავეში ვერც ერთი მთავრობა ვერ დარჩება“

მურმან დუმბაძე: „დღეს ოპოზიცია მთავრობის გვერდით ვდგავართ“

„ივანიშვილი უნდა გამოჩნდეს და ხალხი გაამხნევოს“



გვ.3

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „ვინმე ამიხსნის კომენდანტის საათის აზრს?!“

„საღამოს 9-დან დილის 6-მდე კორონავირუსიანი ხალხი დადიოდა გარეთ?!“

გვ.2

„ეკონომიკური კრიზისი გველოდება და ეს ხელისუფლების ბრალი იქნება“

მამუკა ტუსკაძე: „სააკაშვილს რამის გაკეთება თუ უნდა, გააკეთოს, ჩასვას ხალხი თვითმფრინავში, გამოუშვას და აეროპორტებში მათ საქართველოს მთავრობა მიხედავს“

პოლიცია ქვეყანაში საყოველთაო კარანტინის ფარგლებში არსებული შეზღუდვების კონტროლს ახორციელებს

გვ.5

ISSN 1987-9385

4 ანზორ აბრალავა: „სააკაშვილისა და რუსეთის დაკვეთით ზუგდიდში სპეცოპერაცია მოანყვეს“

4 ბიძინა გუჯაბიძე: „ჩვენ ზვიად გამსახურდიასთანა პატრიოტი არ გვყოლია“

5 ავტომობილით 3-ზე მეტი პირის მგზავრობის შემთხვევაში, მძღოლი 3.000 ლარით დაჯარიმდება

6 ექიმ პრიცენკოს, რომელსაც პუტინი სტუმრობდა, კორონავირუსი დაუდგინდა

„ხელისუფლებამ თითო ოჯახზე 1.000-1.000 ლარი უნდა დაარიგოს“

ლევან ბერძენიშვილი: „ქართულ ოცნებას“ ეკლესიის ეშინია“

იაგო ნაცვლიშვილი

30 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ კორონავირუსის გამო ზომები კიდევ უფრო გაამკაცრა. ქვეყანა თითქმის საკარანტინო რეჟიმზე გადავიდა. გაჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და გადაადგილება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მსუბუქი ავტომობილით, მათ შორის ტაქსითაც, ხოლო 70 წელს გადაცილებულებს სახლიდან გასვლა ეკრძალებათ. ასევე იკრძალება 3 ადამიანზე მეტის შეკრება, ხოლო 21 საათიდან დილის 6 საათამდე მოქმედებს კომენდანტის საათი, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაადგილება არ შეიძლება ან სპეციალური ნებართვით არის შესაძლებელი.

ამ სიმკაცრის მიუხედავად, ხელისუფლება ისევ ვერ ეუბნება მკაფიოდ სათქმელს ეკლესიას, რომ შეზღუდვები ეხება მათაც და უნდა აიკრძალოს ერთ სივრცეში – ეკლესიაში ათობით ადამიანის შეკრება და ასევე აღდგომის ღამეს გადაადგილება, რაც ითვლება ვირუსის გავრცელების ერთ-ერთ რისკფაქტორად.

„ამ ვირუსის შემდეგ სათავეში ვერც ერთი მთავრობა ვერ დარჩება“

რატომ ვერ ბედავს ხელისუფლება ეკლესიის ნების წინააღმდეგ წასვლას და რა ელის ხელისუფლებას იმ ვითარებაში, როდესაც ელემენტარული შემოსავლის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას ვერაფერს სთავაზობს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ბერძენიშვილი** საუბრობს.

– ხელისუფლება იღებს სხვადასხვა ზომას, ამკაცრებს მათ, ეკლესიას უვლის გარშემო, მაგრამ მკაფიოდ მაინც ვერ ეუბნებიან სათქმელს. ამ კრიტიკულ სიტუაციაშიც არჩევნებზე ფიქრობენ თუ რატომ? რა შთაბეჭდილება გრჩებათ თქვენ?

– ხელისუფლებას ეკლესიის ეშინია. დიდი ხნის განმავლობაში ოპოზიციის ნაწილსაც ეშინოდა, მაგრამ, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ოპოზიციაში თანდათან სწორდება ვითარება.

მაგრამ, როგორც არ უნდა ეშინოდეს ხელისუფლებას ეკლესიის, მაინც იმოქმედებს ის წესები ეკლესიაზეც, რომელიც ახლაა შემოღებული. ხელისუფლებას უნდა თუ არა, ეს მაინც მოხდება.

ეკლესიაში, ერთი მხრივ, აცხადებენ, ორმეტრიან დისტანციას დავიცავთო, შემდეგ კი ერთი კოვზით აზიარებენ ანუ დაგვცინიან, ამბობენ, თქვენ რწმენა არ გაქვთ, ჩვენ გვაქვს, ამიტომ უნდა დაგცინოთ, თქვენ ფრთხილობთ, მაშინ როცა საფრთხილო არაფერია, ქრისტეს სხეული და ა.შ. თითქოს ქრისტეს სხეულის გამო არ შეიძლება, ეკლესიაში ინფიცირებული კაცი შევიდეს.

მათ ავიწყდებათ ერთი უბრალო იგავი: როდესაც უფალს შესთავაზეს, მოდი, ხალხი გავცხრილოთო, მან თქვა, არა, ჯერ დაიხოცონ და მერე იქნებიან კეთილები ერთ მხარეს, ბოროტები – მეორე მხარესო, ანუ ის არ ერევა ამ ქვეყანაში. როგორ შეიძლება, ეს არ იცოდნენ და სახარება არ ჰქონდეს წაკითხული მღვდელს, მაგრამ კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ სინოდში და დაადგინეს, რომ მათი რწმენა ისეთი ძლიერია, რომ ახლა უნდა გამოიყენონ.

რაც უნდათ, ის თქვან, წესები მაინც იმოქმედებს. გადაადგილება ღამით მაინც ვერ მოხდება, სადაც არ უნდა მიდიოდეს ადამიანი, გინდა ეკლესიაში და გინდა – სამოთხეში. აღდგომის ღამეს თუ იმოქმედებს კომენდანტის საათი, ვერავინ ვერ გადაადგილდება. ხელისუფლებას უნდა თუ არა, ეშინია თუ არა, მას მაინც მოუწევს იზოლაციის წესების დაცვა.

ახლა ჩვენ შევდივართ კრიტიკულ მეექვსე კვირაში, გაიზრდება ინფიცირების რიცხვი და გაიზრდება შიში, რაც დაძლევს ეკლესიის შიშს. ხელისუფლებაშიც არ არის ერთგვაროვანი სურათი, არიან ეკლესიასთან ენის მოჩლექით მოლაპარაკენი და არიან ისინიც, რომლებიც ენის მოჩლექით არ ლაპარაკობენ. ამიტომ გაძლიერდება ის ფრთა, რომელმაც იცის, რომ ქვეყნის უსაფრთხოება და სახელმწიფო ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ შიში ან მოკრძალება.

– რატომ ეშინიათ ეკლესიის?

– რატომ ეშინიათ, მათ უნდა ჰკითხოთ. მე არ მეშინია და ამიტომ გელაპარაკებით ასე. იმათ იმიტომ ეშინიათ, რომ არ დაკარგონ ავტორიტეტი. ხალხში დიდია რწმენა ამ ინსტიტუციისა, საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად მიაჩნიათ და ა.შ.

– არჩევნებში ეკლესიას განიხილავენ პარტნიორებად?

– დიახ, შეიძლება, პარტნიორებად განიხილავენ, მაგრამ მე ერთი რამე მინდა გითხრათ. ჩვენი ეკლესია თავის თავს თვითონ უკეთებს დისკრედიტაციას. ეს ყველაფერი წინ დახვდებათ და იმათაც წინ დახვდებათ, ვისაც ეკლესიის წინაშე არ შეუძლია, დაიცვას კანონი. კანონი ყველასთვის საერთოა. სამი კაცი არ შეიკრიბოს, ეს ნიშნავს, რომ არსად არ უნდა შეიკრიბოს, არც ეკლესიაში, არც სუფრაზე და არც არსად.

– როგორ აღსრულდება კანონი?

– მაგას გეუბნებით ზუსტად, რომ ეს კანონი აღსრულდება, იმიტომ, რომ შიში კორონავირუსის მიმართ უფრო ძლიერია, ვიდრე შიში პატრიარქის მიმართ. ხელისუფლებას მოუწევს ამის გაკონტროლება. ეკლესია კარგი რამეა, მაგრამ კორონა უფრო ძლიერია. თუ დროზე არ დავძლევთ ამ კრიზისს, ხელისუფლება ეკლესიასთან ერთად ყველაფერს დაკარგავს. ხალხი თუ მშიერი დარჩა, ამ ხელისუფლებას არავინ აირჩევს.

კორონავირუსის შედეგები ისეთი იქნება, რომ ხელისუფლებას ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ დარჩება. ეს ხელისუფლება გამოიცვლება იმიტომ, რომ მთლად დადებითად ვერ გამოვა ამ კრიზისიდან. იმედია, ხალხი არ დაგვეხოცება, მაგრამ, მოგეხსენებათ, მერე თავს იჩენს ეკონომიკური პრობლემები.

– სწორედ აქ ჩნდება კითხვა. კი გვეუბნებიან და სწორია, რომ სახლში უნდა დავრჩეთ, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც დარჩნენ ელემენტარული ლუკმაპურის გარეშე, რას სთავაზობენ?

– მაგას ვამბობ სწორედ, რომ ვერაფერს შესთავაზებენ და ამიტომ დაემხობა ეს ხელისუფლება. როდესაც უნდა ჩატარდეს არჩევნები, ის ხელისუფლებას უკვე წაგებული აქვს, რადგან ამ კრიზისიდან გამოსავალს ეს ხელისუფლება ვერ იპოვის. მას არ აქვს ამ კრიზისიდან გამოსასვლელად არც ფული და არც სხვა რესურსი, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს. ერთადერთი არის ის, რომ ის მილიარდერი რომ ჰყავთ, შეელიოს მილიონებს და დაურიგოს ხალხს, მაგრამ ის ამას არ იზამს, იმიტომ, რომ ახლა, როდესაც მე და თქვენ კორონავირუსზე ვმსჯელობთ, ის ხეებსა და მათ ამოთხრაზე ფიქრობს, იმიტომ, რომ არაადეკვატურია, ფსიქიკურად ჯანსაღი არ არის და ყველა, ვინც მას ემორჩილება, ამას ან ჩასწვდება, ან ვერა, მაგრამ ფაქტია ერთი, რომ ხალხისთვის ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერაფერი გაიღო. იმ ხალხს, ვინც სამსახური დაკარგა, არც ფული მისცა და არც კომპენსაცია. ერთადერთი, ბანკებმა გადაუვადეს სესხები, თუმცა პროცენტი შეინარჩუნეს, თუმცა მაინც შეღავათია ესეც. მაგრამ ხელისუფლის მხრიდან არც ვაუჩერზეა ლაპარაკი, არც დენზე, არც გაზზე...

ხელისუფლება არავის გვეხმარება და შესაბამის პასუხს მიიღებენ არჩევნებზე. ყველამ იცის, როგორც ხდება ხოლმე.

საერთოდ, ამ ვირუსის შემდეგ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ დარჩება მმართველობაში და არა მხოლოდ საქართველოში. ვერც ამერიკის ხელისუფალი დარჩება, ვერც ინგლისისა და ვერც საფრანგეთის, იმიტომ, რომ ისეთი კრიზისია, რომელიც აუცილებლად ხელისუფლებას დაჰბრალდება. როდესაც გამოვალთ კრიზისიდან, ოპოზიცია ამოიღებს ხმას, რადგან, მიღებული წესის თანახმად, არავინ ერჩის ხელისუფლებას და ყველა ელოდება, რომ რამე გააკეთოს მან.

როდესაც კრიზისი დამთავრდება და ხალხი მშიერი დარჩება, ხომ იცით, რომ მერე ყველა ხმას ამოიღებს და შესაბამისი ამბები მოხდება. ეს კარგად ესმის ხელისუფლებას და ამიტომ მგონია, რომ ეკლესიას აღარ მოერიდება, რადგან მას უფრო დიდი პრობლემები აქვს.

– იტალიის ხელისუფლებასაც წასვლა მოუწევს?

– საერთოდ, ასეთი კრიზისის შემდეგ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ რჩება ხოლმე. ამას გვაჩვენებს ისტორია. ინგლისში მოგებული ომის შემდეგ ვერ დარჩა ჩერჩილი, იმიტომ, რომ კრიზისი ხალხს ცუდად ამახსოვრდება და ის უკავშირდება ხელისუფლებას.

ჩვენი ხელისუფლება კორონავირუსთან მიმართებით იქცევა სწორად, მაგრამ მოსახლეობასთან მიმართებით – არასწორად, იმიტომ, რომ ერთი თეთრი არ გამოიყო იმისთვის, რომ უმუშევრად დარჩენილი ხალხისთვის რამე გაკეთდეს. არ არის პროგრამა დასახული და არ აპირებენ ამას. თუ ამას არ აპირებენ, ვიცით, რითიც დამთავრდება ეს – მშიერი ხალხი მათ არ აირჩევს.

– დღეს ივანიშვილისგან იმართება მთავრობა თუ თვითდინებაზე მიუშვა და თავად დამალულია?

– შთაბეჭდილება ასეთია, რომ დღეს პრემიერ-მინისტრს აქვს იმაზე მეტი უფლებები, ვიდრე აქამდე ჰქონია. ასეთი შთაბეჭდილებაა, მაგრამ, რა და როგორ არის, ეს არ ვიცით, მაგრამ ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოვიდა ივანიშვილი, ხალხს რაღაცას ეხვეწებოდა და ასეთ დროს არ გამოდის, იმის ნიშანია, რომ ის ან შეშინებულია, ან იმაზე ფიქრობს, რომ თუ ახლა რამე მოუვათ, რა ჩემი პრობლემააო.

ახლა კარგად ჩანს, რომ ის არ არის ქვეყნის ხელმძღვანელი და ავტორიტეტი. მისი იმედი არავის აქვს. მას ჰგონია, რომ თუ გამოჩნდება, ფულს მოსთხოვენ და ფულის გადახდა არ უნდა. ისე კი, ვალშია ჩვენ წინაშე და სწორედ მაგან უნდა ამოიღოს 200, 300 თუ 500 მილიონი და გადაიხადოს. ჩემი აზრით, სწორი ტაქტიკა ეს იქნებოდა. შეიძლება, საარჩევნოდ ამით ვერ უშველოს თავის თავს, მაგრამ, ნამდვილად ვიცი, რომ ეს გასაკეთებელი აქვს, მაგრამ ის ამას არ გააკეთებს.

– ლოგიკურად უნდა გააკეთოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვალების ჩამოწერის ინიციატივით გამოვიდა, ახლა უფრო სჭირდება ქვეყანას. ასე არ არის?

– იმ ვალების ჩამოწერისგან მისგან არაფერ წასულა, ახლა კი რეალურად ჯიბიდან უნდა ამოიღოს და დახარჯოს. მაშინ ზარალი მას არ უნახავს, ზარალი ბანკებმა ნახეს. ახლა კი ლაპარაკი იმაზეა, რომ რეალური ფული უნდა გაიღოს.

რაზეც საუბარია, რომ კორონავირუსის ფონდში 16 თუ 17 მილიონი შევიდა, ეს სასაცილო თანხებია. ამ დაავადებასთან ბრძოლის პირველ ეტაპსაც კი არ ეყოფა, მერე და მერე არ ეყოფა. მოსახლეობასა და ადამიანებს მით უმეტეს არ ეყოფათ და, წესით, კომპენსაცია უკვე უნდა იყოს დარიგებული 1.000-1.000 ლარი მაინც თითო ოჯახზე, იმიტომ, რომ უამრავი ადამიანი დარჩა უმუშევარი და მათ შემოსავალი არ აქვთ.

„ეკონომიკური კრიზისი გველოდება და ეს ხელისუფლების ბრალი იქნება“

მამუკა ტუსკაძე: „სააკაშვილს რამის გაკეთება თუ უნდა, გააკეთოს, ჩასვას ხალხი თვითმფრინავში, გამოუშვას და აეროპორტებში მათ საქართველოს მთავრობა მიხედავს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, თქვენ ამბობდით, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სასურველი არ იყო, რადგან ეს ხელს შეუშლიდა საარჩევნო კანონის შეცვლას, თუმცა, შეიქმნა ვითარება, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით საგანგებო მდგომარეობაც გამოცხადდა, კარანტინიც და კომენდანტის საათიც საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე. საგანგებო მდგომარეობამ რა ვითარება შექმნა?

– საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ 21 აპრილამდე გამოცხადდა.

– რა იქნება 21 აპრილის შემდეგ?

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშეც ხელისუფლება ახერხებდა ვითარების კონტროლს. საგანგებო მდგომარეობის პირობებში მხოლოდ 100-ზე ცოტა მეტი დაჯარიმებული არსებობს 9 დღის განმავლობაში. პრინციპში, საგანგებო მდგომარეობამ დიდი შედეგი ვერ გამოიღო, თუ არ ჩავთვლით მარნეულსა და ბოლნისს, სადაც აუცილებელი იყო სრული კარანტინის რეჟიმი.

დანარჩენ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გარეშეც შეიძლებოდა ვითარების კონტროლი. ჩემი ვარაუდით, 21 აპრილამდე საქართველოში კორონავირუსი დამარცხებული ვერ იქნება. ამ დროისათვის პიკი იქნება.

– ჩვენი ცნობილი ექიმები პიკს აპრილის ბოლოს ელოდებიან.

– უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პიკის ნიადაგი იქნება 12 აპრილს ბზობის დღესასწაული და 19 აპრილს – აღდგომის დღესასწაული. რაც უნდა მოხდეს, ადამიანები ეკლესიაში მაინც მივლენ. მეც მინდა მოვუწოდო, რომ სახლში ილოცონ, ვიდრე სიცოცხლე დააყენონ საფრთხის ქვეშ.

ჩვენ ვერ შევძლებთ, 3 მილიონი ადამიანიდან 2 მილიონზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი დავტოვოთ სახლში. ამ 2 მილიონზე მეტი ადამიანიდან იმდენი მივა ეკლესიაში, რომ კორონავირუსის საფრთხე არ იყოს. სწორედ ამიტომ 12 და 19 აპრილს დასნებოვნებული ადამიანების პიკი იქნება.

თუმცა საგანგებო მდგომარეობა არის ერთი, მეორეა მკურნალობა. საგანგებო მდგომარეობის გარეშეც შეიძლებოდა ვითარების დარეგულირება. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა არ გამოაცხადა, უბრალოდ, შიდა განკარგულებებით მოახერხა დარეგულირება.

– ამერიკა დიდი ქვეყანაა და შეიძლება, ბევრი რამ ეპატიოს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, თან, ხომ ხედავთ, ოპოზიცია როგორ არის ჩასაფრებული.

– ჩემი აზრით, საგანგებო მდგომარეობა დროულად უნდა გაუქმდეს. ეს ყველაფერი ქვეყნის მომავალ განვითარებას უშლის ხელს. საუბარია იმაზე, რომ საგანგებო მდგომარეობის პირობებში ჩვენ ვერ შევცვლით კანონს, კონსტიტუციას, სხვა მრავალ გადაწყვეტილებას.

ამიტომ საგანგებო მდგომარეობა აფერხებს და აჩერებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. საგანგებო მდგომარეობის გარეშეც შეიძლება, ადამიანებს ვიმკურნალოთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები ურჩები აღმოჩნდნენ.

უბრალოდ, რაც უფრო იმატებს დაზარალებულთა რიცხვი, ქალაქში საცობი მით ნაკლებია. მართლა ყველამ გაითავისა, რა მძიმე სენთან გვაქვს საქმე. ამიტომ ხელისუფლებას შეუძლია, შიდა რეგულაციებით, ნორმატიული აქტებით მიიღოს გადაწყვეტილება, საგანგებო მდგომარეობა გაუქმდეს და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი გახდეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვაშაძე: „ვინმე ამიხსნის კომენდანტის საათის აზრს?!“

„საღამოს 9-დან დილის 6-მდე კორონავირუსიანი ხალხი დადიოდა გარეთ?!“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

– ბატონო გიორგი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარანტინი გამოცხადდა, ასევე – კომენდანტის საათიც. რა უნდა გაკეთდეს და არ კეთდება? თქვენ აქტიურად აწვდით რეკომენდაციებს ხელისუფლებას და ამის გამო სერიოზული კრიტიკაც დაიმსახურეთ.

– ამ კრიტიკას ავიტან რამენაირად. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ფატალური შეცდომა დაუშვა. დიაგნოსტიკის შესაძლებლობები არ გვაქვს ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, გვიწევს ყოველდღე უფრო და უფრო აგრესიული ღონისძიებების გატარება. მთელ მსოფლიოში მხოლოდ საქართველოს ჰყავს ისეთი მეთაური, რომელიც ამბობს, რომ დიაგნოსტიკა და სწრაფი ტესტები არ არის აუცილებელი კორონავირუსთან ბრძოლაში. დანარჩენი მსოფლიოს ყველა ლიდერი თავის ქვეყანაში სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს. რადგან არ გვაქვს დიაგნოსტიკა, ახლა გამოვაცხადეთ კომენდანტის საათი.

– არ უნდა გამოეცხადებინათ?

– რა, ღამე გადაადგილდებოდა კორონავირუსიანი ხალხი თუ რას უშველის კომენდანტის საათი?! დღე რატომ არა და ღამე რატომ კი?! ელემენტარული შეკითხვაა. ძალიან მძიმე ვითარებაა ქვეყანაში. მე ორ კვირაზე მეტია, ვითხოვ ხელისუფლებისგან ანტიკრიზისულ გეგმას, მაგრამ არ წარმოუდგენიათ. გასულ პარასკევს წარვადგინე ანტიკრიზისული გეგმა, როგორც მოსამზადებელი სამთვიანი ფაზა, ასევე 14-დღიანი იმპლემენტაციის ფაზა.

მთავარი შეცდომა არის ის, რომ თავდაცვა-შეკავების სტრატეგიაზეა აწყობილი ყველა ნაბიჯი, არადა, უნდა იყოს აგრესიული შეტევის სტრატეგია, იმიტომ, რომ მხოლოდ იმ ქვეყნებმა გაიმარჯვეს კორონავირუსზე, რომლებსაც ჰქონდათ აგრესიული შეტევის სტრატეგია.

იტალიამ აირჩია ზუსტად ის გზა, რომელიც დღეს საქართველოშია.

– რომელი გზა?

– დიაგნოსტიკა-ტესტირებას უკეთებს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მკვეთრად გამოკვეთილი სიმპტომი და საბოლოო ჯამში, სადამდე მივიდა იტალია, ყველა ვხედავთ.

– იგივე გვემუქრება?

– იმედი მაქვს, ჩვენი გენეტიკური გამძლეობა მაინც გვიშველის, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი არ დაავადდება.

– გამკაცრებული ზომები რამდენად ეფექტური და შედეგის მომტანი იქნება?

– რა შედეგის მომტანი უნდა იყოს, ვინმე გამაგებინებს კომენდანტის საათის აზრს?! ამიხსნას ვინმემ, საღამოს 9-დან დილის 6-მდე კორონავირუსიანი ხალხი დადიოდა გარეთ?! ის მაინც ეთქვათ, კრიმინოგენური სიტუაციის გამო ხდება ეს ყველაფერიო და გავიგებდით ამას, ხოლო კორონავირუსი რა შუაშია შუაღამისას გადაადგილებასთან, ამიხსნას ვინმემ! მე ნამდვილად არ მესმის.

– რა იყო ამის რეალური მიზეზი?

– არაფერი. მძიმე ვითარებაა ქვეყანაში და კიდევ უფრო ამძიმებენ ამ გადაწყვეტილებებით. პოლიტიკური ბენეფიტებისა და კეკლუცობისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს, სხვა არაფრისთვის.

– ეკონომიკური გეგმა თუ არსებობს, როგორ უნდა დააღწიოს მოსახლეობამ თავი უკიდურეს გაჭირვებასა და შიმშილს?

– ხელისუფლება რას აპირებს, არ ვიცით. ამაზე არ საუბრობენ, არ აქვთ გეგმა. მე კი მინდა, ვუთხრა მოსახლეობას, რომ ნამდვილად მაქვს გეგმა, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ კრიზისიდან, მაგრამ დაგვიანებული დიაგნოსტიკისა და აგრესიული ტესტირების ყოველი დღე არის მინუს 70-80 მილიონი ლარით გაღარიბება ქართულ ეკონომიკაში.

თუ იმ გზით წავედით, რომელსაც დღეს გახარია გვთავაზობს, ეს ნიშნავს იმას, რომ ღარიბი უფრო გაღარიბდება, მდიდარი უფრო გამდიდრდება. ერთი გეგმაც კი არ გვინახავს, ნაბიჯ-ნაბიჯ რის გაკეთებას აპირებენ.

– გამოსავალს რამდენად ხედავთ ამ სიტუაციიდან?

– რა თქმა უნდა, გამოსავალი არსებობს და ეს არის აგრესიული და მკვეთრი რეფორმები. ჯერ პირველი ფაზის ამოცანა, რომელიც ჩვენს

„აუცილებლად გვჭირდება სწრაფი დიაგნოსტიკა“

გეგმაში გამოვაქვეყნეთ, არის კორონავირუსის გავრცელების საქართველოს შიგნით შეკავება და შიდა კარანტინის მოხსნა, მეორე ფაზაა საზღვრების გახსნა, მესამე – მძლავრი ეკონომიკური რეფორმები.

ამაზე მე ვმუშაობ ჩემს ჰარვარდელ კოლეგებთან ერთად. ძალიან ბევრი რამ იწერება მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტების მიერ და მე სერიოზული გეგმა მაქვს, ფუნდამენტი უკვე მოვხაზე, რომელი ღონისძიებები უნდა გავატაროთ, რომ სწრაფად დავძლიოთ ის შიმშილი, ქვეყანას რომ ემუქრება. არ ვიცი, რა გეგმა აქვს მთავრობას. სამწუხაროდ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ისინი არ გვისმენენ.

– არ იზიარებენ ოპოზიციონერი ლიდერების შეთავაზებებს?

– არათუ არ იზიარებენ, რაღაც ცინიკურად და დამცინავად საუბრობენ. ეს ყველაფერი ქვეყანას აზიანებს, თორემ დაცინვას ავიტანთ როგორმე. საჯაროდ რასაც ვამბობ, ამას იზიარებენ.

– კერძოდ, რა გაიზიარეს?

– მაგალითად, გახარია გამოვიდა და განაცხადა, ოჯახის ექიმებთან კომუნიკაციას ავაწყობთ, ტელეფონის ნომერი გექნებათ, დაურეკავთ და გაივლით რეკომენდაციებსო. მე რა პუნქტებიც გავუგზავნე, იქ ეწერა ეს და მიხარია, რომ გაითვალისწინეს. კარგია, რომ ასე პატარ-პატარა პუნქტებს მაინც ითვალისწინებენ. იგივე იყო სამთავრობო ბრიფინგებზე, იგივე იყო, უფრო მკაფიო რომ უნდა იყოს მესიჯები და ბოლო ორი დღეა, უფრო მომზადებულები ჩანან.

– მედიკოსები გაგინაწყენდნენ, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო...

– მე რა გამინაწყენდნენ, ხელისუფლება ამოეფარა ექიმებს, ეს მოხდა რეალურად, მე კი არ გამინაწყენდნენ. არაერთხელ მივმართე, რომ საერთოდ დაანებონ თავი ჩვენთან კამათს და თავიანთი საქმე აკეთონ, ხოლო თუ რამე მხარდაჭერა სჭირდებათ, ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ. ჩვენ რა, მკურნალობის გაიდლაინში შევედით ოდესმე თუ რა?! რატომ გვინაწყენდებიან. აქ არის საუბარი კრიზისული სიტუაციების მართვაზე. ამაზე კი პასუხისმგებელია გახარია და არა რომელიმე ექიმი. ესეც კარგად უნდა გვესმოდეს. სამწუხაროდ, გახარიამ და მთავრობამ ეს ადამიანები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. იმის ნაცვლად, რომ თვითონ გაეცა პასუხი, ამ ხალხს ამოეფარა.

არც ერთხელ ჩვენ ექიმები არ გაგვიკრიტიკებია. მათ თავიანთ საქმეს უნდა მიხედონ. აქ კრიტიკული სიტუაციის მართვაზეა საუბარი. მსოფლიოში გვყავს ერთადერთი პრემიერ-მინისტრი, რომელიც დღესაც ამტკიცებს, რომ არ გვჭირდება სწრაფი დიაგნოსტიკა. ეს არის კატასტროფა!

– ამ ყველაფრის უკან კორუფციის ნიშნებია?

– მოვა დრო და გავარჩევთ, ვინ რა ფულის კეთებას აპირებდა. ახლა ამის დრო არ არის და ამაზე საუბარიც ნაადრევია. დღეს ჩვენი გენეტიკა თუ გვიშველის, რომ მალე გამოვჯანმრთელდეთ, თორემ დიაგნოსტიკის კუთხით კატასტროფა გვაქვს.

მურმან დუმბაძე: „დღეს ოპოზიცია მთავრობის გვერდით ვდგავართ“

„ივანიშვილი უნდა გამოჩნდეს და ხალხი გაამხნევოს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, როგორ შეაფასებთ მთავრობის, პრემიერის მუშაობას, შექმნილ ვითარებას რამდენად ართმევს თავს გახარია?

– დღეს ოპოზიცია მთავრობის მიმართ ნაკლებად კრიტიკულია, რასაც ვერ ვიტყვით მთავრობაზე. მთავრობის ადგილზე უფრო კონსტრუქციული ვიქნებოდი ოპოზიციის მიმართ.

– თქვენ რა შენიშვნა გაქვთ?

– სწრაფი ტესტირება რომ დაგვიანებულია, აშკარაა. ხელისუფლებამ ეს ვერ მოახერხა, მაგრამ, რაც არის, ეს არის. 24 საათი მუშაობენ, თვალები დაწითლებული აქვთ, ყველა ღონეს ხმარობენ და ამის გამო მთავრობას კრიჭაში ვერ ჩავუდგებით, მაგრამ, კარგი იქნებოდა, თადარიგი ბევრად ადრე დაგვეჭირა.



როდესაც პანდემია გამოცხადდა, უნდა გვეფიქრა იმაზე, რომ ეს ჩვენც შეგვეხებოდა. ახლა რომ გვეუბნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გატესტეთ, გატესტეთ და კიდევ გატესტეთო, ამაზე ადრევე უნდა გვეფიქრა და თადარიგი უნდა დაგვეჭირა. არც იმას გამოვრიცხავ, მასობრივი ტესტირების შემთხვევაში ბევრად უფრო მეტი ინფიცირებული გვყავდეს.

პანდემიას ერთად უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს საერთო გამოწვევაა და აქ პოზიცია-ოპოზიცია არაფერ შუაშია, მაგრამ შენიშვნებს ღიად ვიტყვი და ამის თქმას ვერავინ დამიშლის.

– ეკონომიკურ გამოწვევებს რამდენად გავუმკლავდებით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიმართულებით მთავრობამ?

– მთავრობა ვალდებულია, ყველანაირი ეკონომიკური გათვლა ქაღალდზე გადაიტანოს და საქართველოს მოქალაქეებს გააცნოს. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, უახლოეს მომავალში რა ელოდებათ ეკონომიკური მიმართულებით.

– მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ პირველი პრიორიტეტი ვირუსის დამარცხებაა.

– გასაგებია, მაგრამ, ვშიშობ, ვირუსის დამარცხებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დაყენება. ამიტომ ახლავეა თადარიგი დასაჭერი.

რას უპირებს მთავრობა მოწყვლად ჯგუფებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ცოტა ხანში შიმშილს დაიწყებენ?! ქვეყანა კარანტინშია, მისი ეკონომიკური აქტივობა გაჩერებულია, ქუჩაში სამხედროები არიან გამოსული, მოსახლეობას მარაგი ამოეწურება და, ვშიშობ, რომ ამის მერე დაიწყება ის, რაც დაიწყება. სანამ აქამდე მივსულვართ, მთავრობამ ამ მიმართულებით რაღაც უნდა იღონოს.

– რას სთავაზობთ?

– უნდა გვითხრას, როგორ აპირებს ამ პრობლემის გადაჭრას. თუ არ აქვს ხედვა, ოპოზიციურმა პარტიებმა გარკვეული მონახაზი დადეს და ეს უნდა გაითვალისწინოს.

ძალიან რთულ მდგომარეობაშია დღეს მთავრობა, სუპერსახელმწიფოები არიან ურთულეს მდგომარეობაში, მაგრამ, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი ვიყოთ?!

– თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?

– გაერთიანებაში. დღეს შენი იდეა-ჩემი იდეა არ უნდა იყოს. საქმეს რაც წაადგება, ის უნდა გაკეთდეს! გახარიას პრობლემა არ არის პანდემია, ეს მესმის, არც ოპოზიციის პრობლემაა, მაგრამ დღეს გახარიაა მთავრობის მეთაური და ის არის ვალდებული, გვითხრას, რას აპირებს ეკონომიკური მიმართულებით.

მე არასდროს ვყოფილვარ გაჭირვებული, მაგრამ უკვე ყველაფერი იწურება. ჩემზე გაჭირვებული ადამიანი ხომ ბევრად მეტია ამ ქვეყანაში, მათ რას ვუშვრებით?!

ჩემი შვილი, დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობს, ოჯახის ყველა წევრს სახელმწიფოსგან უკვე ჩაერიცხა ფულადი დახმარება. გასაგებია, რომ ის ამერიკაა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამაც რაღაც უნდა იღონოს სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის, გაჭირვებული ადამიანებისთვის. ეს ბაზა არსებობს ქვეყანაში და მისი მოძებნა არ არის რთული.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთ თვეში ხალხი შიმშილს დაიწყებს! არ უნდა ჯიბრში ჩადგომა, ოპოზიციას აქვს წინადადებები და საჭიროა მათი გათვალისწინება ან გადამუშავება. დღეს ჯიბრში ჩადგომის დრო არ არის. ჩვენ, ოპოზიცია, მთავრობის გვერდით ვდგავართ და ეს უნდა გაითვალისწინონ.

ერთიც მინდა ვთქვა – დასავლეთის, დიდი სახელმწიფოების ლიდერებს ეს სენი შეეყარათ. შეეყარათ იმიტომ, რომ სახლში კი არ გამოიკეტნენ, საკუთარ ხალხთან, საკუთარ მოქალაქეებთან ერთად არიან.

აუცილებელია, ეს განცდა ჰქონდეთ ადამიანებს. მე ვკითხულობ, სად არის ბიძინა ივანიშვილი?! ის უნდა გამოჩნდეს და ხალხი უნდა გაამხნევოს. მან ეს უნდა გააკეთოს!

გიორგი კანდელაკი: „საკონსტიტუციოში კლანის წარმომადგენლის გაძვრენის მცდელობა უღირსი საქციელია“

„ევროპული საქართველოს“ წევრ გიორგი კანდელაკის განცხადებით, მაშინ, როდესაც ქვეყანა საგანგებო მდგომარეობაშია და ერთიანია ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკონსტიტუციო სასამართლოში „კლანის წევრი მოსამართლის გაძვრენის მცდელობა“ უღირსი საქციელია.

– მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება, ყველანი გვერდში ვუდგავართ ჩვენი სამედიცინო სფეროს მუშაკებს, ამ ექსტრაორდინარულ ვითარებაში და ვზიდავთ ამ ტვირთს, ამის ფონზე, მალულად, ქურდულად მე ასე ვიტყოდი, კლანის წარმომადგენლის გაძვრენის მცდელობა საკონსტიტუციო სასამართლოში არის, უღირსი საქციელი, არის საგანგებო მდგომარეობის სულისკვეთების დარღვევა და მთლიანად საზოგადოების უპატივცემულობა.

ყველა ის საკითხი, მათ შორის სასამართლო სფეროში, რამაც გააერთიანა საზოგადოება ცვლილებების სურვილით და მთელმა ოპოზიციამ ხელი მოაწერა რეფორმების ჩარჩოს, სასამართლო ხელისუფლებისა არსად არ წასულა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ ვართ ერთიანნი კორონავირუსთან ბრძოლაში და სრულიად საგანგებო ვითარებაში, ამ დროს კლანის წარმომადგენლის გაძვრენის მცდელობა არის უღირსი საქციელი, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ნიუ იორკში 64 წლის ქართველი მამაკაცი კორონავირუსით გარდაიცვალა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძე ადასტურებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის კორონავირუსით გარდაცვალების ფაქტს.

– სამწუხაროდ, კიდევ ერთი ჩვენი თანამოქალაქე გარდაიცვალა საზღვარგარეთ. ეს არის უკვე მე-5 შემთხვევა საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულის გარდაცვალებისა. ის არის ნიუ იორკში მცხოვრები 64 წლის მამაკაცი. საგარეო საქმეთა სამინისტრო და საელჩო ოჯახთან არიან კავშირზე. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, რომელიც ესპანეთში დაფიქსირდა, გარდა კოვიდისა, ასევე იყო თანმხლები სხვა ქრონიკული დაავადებები, – განაცხადა პაატა იმნაძემ.

გალის რაიონში კომენდანტის საათი გამოცხადდა

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც გალის რაიონში ე.წ. კომენდანტის საათი გამოაცხადა.

განკარგულებით, აღნიშნული შეზღუდული რეჟიმი 20:00 საათიდან დილის 7:00 საათამდე იმოქმედებს. კომენდანტის საათის განმავლობაში მოქალაქეებს ეკრძალებათ გარეთ და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნა.

მანამდე გალის რაიონის დე ფაქტო ხელმძღვანელმა 28 მარტს გამოაცხადა ე.წ. კომენდანტის საათი, რომელიც 00:00 საათიდან დილის 6:00 საათამდე მოქმედებდა, რაც დაკავშირებული იყო იმ დროისთვის მდინარე ენგურზე გახშირებულ მიმოსვლასთან.

29 მარტს გალის რაიონიდან ადგილობრივი მცხოვრები ქალი კორონავირუსის ნიშნებით ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ანზორ აბრალავა: „სააკაშვილისა და რუსეთის დაკვეთით ზუგდიდში სპეცოპერაცია მოაწყვეს“

„ჩვენ ამირან გამყრელიძეს კი არ უნდა დავესხათ თავს, ყველანი ქვეყნის ჯარისკაცები უნდა ვიყოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ფაქტობრივი კარანტინის პირობებში ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას.**

– საქართველოში ფაქტობრივი საყოველთაო კარანტინია გამოცხადებული. უფრო გართულდა მდგომარეობა?

– რასაკვირველია. მთავრობას ყველაფერი გათვლილი აქვს და ისე იღებს ამ მიმართულებით გადაწყვეტილებებს. ეს „ლაითი“ გადაწყვეტილებაა. სრული, ნამდვილი კარანტინი არ არის. ჩვენ, პრაქტიკულად, საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამას სპეციალური რეჟიმი სჭირდება. ამგვარ საომარ პირობებშია მთელი პლანეტაც. მიზანი ასეთია – უნდა დავიცვათ ჩვენი თავი, ახლობლები და საზოგადოება. არ უნდა დავუშვათ კორონავირუსის მასობრივი გავრცელება.

– ადამიანების პრეტენზიები კონკრეტულია – ზოგს არ მოსწონს, რომ გარეთ გასვლა (ახლო მანძილის გარდა) აეკრძალათ 70 წელს გადაცილებულებს, ზოგი აპროტესტებს იმას, რომ მანქანაში მძღოლმა ორ პირზე მეტი არ უნდა ჩაისვას.

– მეც არ მომწონს შეზღუდვები, მაგრამ წესებს ვემორჩილები. ჩემთვის დისკომფორტია ვიდეოლექციების ჩატარება. ერთი სული მაქვს, აუდიტორიაში შევიდე. როცა ასეთი საგანგებო მდგომარეობაა, როცა საომარი მდგომარეობა გვაქვს, რაღაცაზე უარი უნდა ვთქვათ და რეკომენდაციები შევასრულოთ.

– უცხოელი ანალიტიკოსები შექმნილ რეალობას სხვადასხვანაირად აფასებენ. დასავლეთში ამბობენ, რომ პანდემიამ დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს უახლოეს პერიოდში გასამართი არჩევნები გადაადებინა, აღმოსავლეთის ავტორიტარებმა კი თავიანთ ოპოზიციას შეუტიეს. აღმოსავლეთის ქვეყნების ავტორები საუბრობენ აზიის ქვეყნების წარმატებასა და დასავლეთის სისტემების, ევროპის კრახზე. მათი აზრით, აშშ-ისთვის კორონა ისეთივე დარტყმაა, როგორიც იყო ჩერნობილის აფეთქება საბჭოთა კავშირისათვის.

– ახლა ყველა თავისას იტყვის. ევროპის კრახზე ლაპარაკი სწორი არ არის. შეიძლება, ისაუბრო ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ჯანდაცვის გარკვეული მიმართულებების სისუსტეზე, შეცდომებზე. საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ბევრად უფრო გამართული გამოდგა, ჩვენი მედიკოსები კი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. არ ვეთანხმები აზრს, რომ ჩერნობილის კატასტროფამ მხოლოდ საბჭოთა კავშირი დააზარალა. ამან დააზიანა პლანეტა. ჩერნობილის ზიანის განეიტრალებას 30 საუკუნე უნდა. კორონავირუსის მოქმედება ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი იქნება. მასთან ბრძოლაში თავი გამოიჩინეს სამედიცინო დარგის იმ სპეციალისტებმა, რომლებიც მადლობას იმსახურებენ. ისინი წინათ ჩარეცხეს. ამ ხალხს უწოდებდნენ ჩარეცხილებს. ასეთები სხვა სფეროებშიც გვყავს. ისინიც დაუფასებლები არიან. არენა დათმობილი აქვთ არაპროფესიონალებსა და უვიცებს.

– ვინმეს კონკრეტულად გულისხმობთ?

– ვინც ამ რეჟიმის დროს ბევრს ყვირის, იმას ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრად ჭიაბერაშვილის დაბრუნება უნდა, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრად – ისევ ხაბაზის მოსვლა. ხაბაზსა და ჭიაბერაშვილს რა უნდოდათ ჯანდაცვის სისტემაში? რატომ უნდა ყოფილიყვნენ ისინი მინისტრები? გიორგი ვაშაძე რომ თათბირებს ატარებს სამედიცინო თემაზე, ეს რაღა უბედურებაა? ეს ხალხი თავის ვიწროპარტიულ ჩარჩოებს ვერ გასცდენია. ესენი აკრიტიკებენ იმ მედიკოსებს, რომლებმაც მადლობა დაიმსახურეს. ამირან გამყრელიძის, პაატა იმნაძისა და სხვების გვერდით მინდა, მადლიერებით მოვიხსენიო დიდი პროფესიონალი ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომლის იდეებზე, ფასეულობებსა და გამოცდილებაზე მრავალი თაობა აღიზარდა. იმ ტელეწამყვანებს რა ვუთხარი, ამირან გამყრელიძესა და პაატა იმნაძეს რომ პირდაპირ ეთერში თავს დაესხმებიან! წამყვანებსაც სჭირდებათ კვალიფიკაცია, ისევე, როგორც პოლიტიკოსებს. ტელევიზიები და პოლიტიკური ორგანიზაციები ერთმანეთის ფილიალებად იქცნენ და ორივეგან აგრესია, არაობიექტურობა და გაუნათლებლობაა. საგარეო საქმეთა მინისტრი რომ ვიყო, ავტეხდი ამბავს იმაზე, რომ საერთაშორისო ავანტიურისტი სააკაშვილი საქართველოსა და მთელ სამყაროს ზიანს აყენებს.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– სააკაშვილისა და რუსეთის დაკვეთით ზუგდიდში სპეცოპერაცია მოაწყვეს. საბაბი იყო ხალხისათვის ნიღბების დარიგება. მოხდა ხალხის თავშეყრის პროვოცირება და შეიქმნა ვირუსის გავრცელების საფრთხე. ამის ორგანიზატორები მოიქცნენ ისევე, როგორც იქცეოდნენ კოლონიზატორები, რომლებიც განგებ ასნებოვნებდნენ ინდიელებს ყვავილის ვირუსით. ვინ ჰკითხავს სააკაშვილს, 4.000 კაცს ჩამოიყვანენ სამშობლოში თუ 2.000-ს? რას ერევა სახელმწიფოს საქმეებში? აქამდე ცოტა დაეშავა? მასთან კუდის ქიცინი არ გამოვა. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს უკრაინას სააკაშვილის იზოლირების შესახებ, თორემ ეს ავანტიურისტი უკრაინასაც შეუქმნის საშიშროებას, საქართველოსაც და გარესაყაროსაც. ვინც სააკაშვილის სპეცოპერაციებში მონაწილეობს, ისინი და მისი მომხრეებიც მავნებლები არიან. ასეთი ხალხი ავადმყოფია. ამ მძიმე დროს რომ ქვეყანას ზიანს მოუტანენ, პასუხი უნდა აგო. ჩვენ ყველანი ჯარისკაცები ვართ და ქვეყანას უნდა მოვემსახუროთ.

ბიძინა გუჯაბიძე: „ჩვენ ზვიად გამსახურდიასთანა პატრიოტი არ გვყოლია“

გულიკო ბალაძე



31 მარტი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით ჩატარებული რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა.

რეფერენდუმის შედეგები გახდა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საფუძველი. „ახალ თაობას“ ამ თემაზე პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** ესაუბრა.

– ბატონო ბიძინა, 31 მარტი არის რეფერენდუმის დღე და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე.

– ზვიად გამსახურდიას 31 მარტს 81 წელი შეუსრულდებოდა, ხოლო რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წელს, ანუ 29 წელი გავიდა.

– რეფერენდუმის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ყველა დონეზე, რა დონეზეც მოლაპარაკება იქნება, ამ რეფერენდუმსა და მის შედეგებს, რომელიც რეალურად ზვიად გამსახურდიამ ჩაატარა, დიდი მნიშვნელობა ექნება ყოველთვის, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მოლაპარაკებების დროს.

– კონსტიტუციაში გვიწერია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეფუძნება 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებსა და 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტს. ასე რომ, ამ თარიღს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შლის.

– ამ თარიღის წაშლა უნდოდათ?

– შეიძლება, უნდოდათ კიდევაც, მაგრამ ვერ მოახერხეს და სამარადჟამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში.

– რომელიმე ხელისუფლებას, რომელიც ზვიად გამსახურდიას შემდეგ მოვიდა საქართველოს სამართავად, მიუხედავად იმისა, რა წარმომავლობის იყო, თუ ჰქონდა გაცნობიერებული ამ დღის მნიშვნელობა?

– სათავისოდ ჰქონდათ გაცნობიერებული. ახლანდელ ხელისუფლებაზე ვერ ვიტყვი, რადგან არავითარი წინააღმდეგობა ზვიადსა და ამ ხელისუფლების საქმიანობას შორის არ არის.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთი საფუძველი იქნა ჩაყრილი, ამას ვერავინ წაშლის. შეიძლება, ვიღაცას კიდეც უნდოდა, წაეშალა.

მაგალითად, შევარდნაძეს უნდოდა, დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი ყოფილიყო და ცდილობდა, 31 მარტის მნიშვნელობაც მიეჩქმალა, როგორც 9 აპრილისა მიჩქმალა, მაგრამ ამ თარიღის ამოღება ძალიან ცუდ შედეგებს გამოიწვევდა. ამიტომ ვერ გაბედეს.

– თქვენ პირადად ზვიად გამსახურდიას ხომ იცნობდით?

– როგორ არა. სამწუხაროდ, ზვიადს დისიდენტობის პერიოდში არ ვიცნობდი. რაც მასთან რამდენიმე შეხვედრიდან ვიცი, ის მეოცე საუკუნის გმირი იყო. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ჩვენ ზვიადისთანა პატრიოტი არ გვყოლია.

ზვიადი იყო თავშეწირული კაცი, უდიდესი მეცნიერი. მან თავისი მეცნიერული მიღწევები და უნარები საქართველოს შესწირა. ის გახდა პოლიტიკოსი და მეცნიერებისთვის ისე აღარ ეცალა, როგორც ზვიადს ეკადრებოდა. მან თავისი მეცნიერული მიღწევები და მომავალი საქართველოს შესწირა. ეს ზვიადის მხრიდან გარკვეული მსხვერპლი იყო.

ზვიადი ცოცხალი რომ გადარჩენილიყო, დარწმუნებული ვარ, გარკვეული დროის შემდეგ პოლიტიკიდან განზე გადგებოდა და მეცნიერებას დაუბრუნდებოდა, მაგრამ არ დააცალეს.

– ალბათ, თქვენც გსმენიათ, ზოგიერთები ამბობდნენ, ჯობდა, ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი არ გამხდარიყო. ამას ისინი ამბობდნენ, ვისაც მისი პრეზიდენტობა არ მოსწონდა.

– დიახ, ამბობდნენ, პრეზიდენტობისას დისიდენტობდაო. მსოფლიოს მმართველი წრეების მიმართ მისი გამონათქვამები ნაკლად ჩათვალეს. პოლიტიკოსი მაშინ ხარ, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსაც აანალიზებ და თან ეუბნები, სწორი გზით არ მიდიხართ. მეგობრებო და, მოდი, ამას ჩაუფიქრდითო.

ახლა ნელ-ნელა ჩანს ზვიად გამსახურდიას როლი და დანიშნულება არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოსთვისაც. ზვიადის მკვლელობით დანაკლისი განიცადა საქართველომ და მთელმა მსოფლიომ.

– სხვათა შორის, დამოუკიდებელ საქართველოსთან დაკავშირებით მამა ბუშის შეცოდებების გამოსყიდვა შვილმა ბუშმა ცადა. ამაზე მან თავის ერთ-ერთ განცხადებაში ისაუბრა.

– მახსოვს, ბუში საქართველოში რომ ჩამოვიდა, თავისუფლების მოედანზე თავის გამოსვლაში დადებით კონტექსტში ჟვანია და ზვიად გამსახურდია ახსენა.

მთელი მისი მოდგმა ზვიად გამსახურდიას ებრძოდა. მერე, როცა საქმე გააფუჭეს, მათი განცხადება საქმეს აღარ შველის. სინანული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ – არადროული. ზვიად გამსახურდიას დაღუპვით საქართველომ და მთელმა მსოფლიომ დიდი დანაკლისი განიცადა.

„ეკონომიკური კრიზისი გველოდება და ეს ხელისუფლების ბრალი იქნება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხელისუფლება ახლა პოპულარობის ზენიტშია. რეალურად, ხელისუფლებამ შეძლო, კორონავირუსის პირველი შემოტევა შეაჩერა და მართვადი გახადა. სწორედ ამიტომ არის დღეს ხელისუფლების რეიტინგი მაღალი, მაგრამ ეს არ უშველის.

კორონავირუსი თუნდაც დაამარცხონ, ამას მოჰყვება საშინელი ეკონომიკური კოლაფსი. საშინელი ეკონომიკური მდგომარეობა იქნება. ეს კრიმინალური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს. ძალიან ბევრი კრიმინალური ფაქტი მოხდება იმიტომ, რომ ადამიანებისთვის აუცილებელი იქნება ლუკმაპურის შოვნა.

– ეკონომიკური კრიზისი ხელისუფლების ბრალი იქნება?

– დიახ, ხელისუფლების ბრალი იქნება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უნდა მოიფიქროს და საზოგადოებას შესთავაზოს გეგმა. მაგალითად, ტრამპმა ეკონომიკის გაცოცხლებისთვის 3 ტრილიონი გამოყო. საქართველოსაც შეეძლო, ეს გაეკეთებინა. სულ სამი მილიონი ადამიანია და დოლარის კურსი ასე არ უნდა დაცემულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვირუსმა გამოიწვია.

– საქართველოს ხელისუფლებამაც დაიწყო, მგონი, უცხოეთში ფინანსების მოძიება, სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან ჰქონდათ შეხვედრები?

– დიახ, მე არ ვამბობ, რომ ამ მიმართულებით არ მუშაობენ, მაგრამ კიდევ უფრო უნდა გააქტიურდნენ, თორემ ეს არ უშველით. კორონავირუსს მართლა გმირულად ებრძვიან მთავრობა და ექიმების ჯგუფი, საბოლოო ჯამში, ეს პოპულარული ვეღარ იქნება, თუ ეკონომიკური კოლაფსი მოჰყვა. მაისში ვირუსს რომ დამიმარცხებ, ივნისსა და ივლისში ქვეყანა ყაჩაღებითა და ქურდებით არ უნდა გაივსოს, ხალხს ლუკმაპური უნდა ჰქონდეს.

დღეს, ელემენტარულად, მანქანების სახელოსნოები არ მუშაობს. მათთვის ეს არის სრული კატასტროფა. მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებს, მხოლოდ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებს, მოწყვლად ჯგუფში მყოფ ადამიანებს არა აქვთ პრობლემა, რადგან, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მათ ერიცხებათ თანხა. რა ქნან თვითდასაქმებულმა ადამიანებმა!

– სახელმწიფოს, ხელისუფლებას ეს არ აქვს გააზრებული და გაცნობიერებული?

– ხელისუფლებას გააზრებული უნდა ჰქონდეს, მოაზროვნე ადამიანები ხელისუფლებაში არიან, მაგრამ ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი უკვე უნდა მუშაობდეს ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. როგორც კორონავირუსს შეხვდნენ მედგრად და დღეს ამ ვირუსით გარდაცვლილი არ გვყავს, ღმერთმა გვაშოროს, ეს არის დამსახურება, მაგრამ, თუ ეკონომიკის კუთხით დროულად არ დაიწყეს მუშაობა, კატასტროფა იქნება.

ეკონომიკის მინისტრი თურნავა, ფინანსთა მინისტრი მაჭავარიანი ეკონომიკის საკითხებზე უნდა მუშაობდნენ და არა კორონავირუსზე. კორონავირუსზე უნდა მუშაობდნენ ექიმები და პრემიერ-მინისტრის თანაშემწეები.

– სანამ საგანგებო ვითარებაა, ეკონომიკას არაფერი ეშველება. მერე ვნახოთ, რა იქნება.

– სწორედ ამიტომ მინდა ვისურვო, რომ 21 აპრილის შემდეგ საგანგებო მდგომარეობა აღარ გაგრძელდეს, თუმცა, საეჭვოა, ასე მოხდეს, რადგან წინ დღესასწაულებია. იმ ფონზე, როდესაც საპატრიარქო ღიად არ აცხადებს, რომ ეკლესიაში არ მივიდნენ, ხალხი ეკლესიაში მაინც მივა.

– პატრიარქმა მოუწოდა, სახლში დარჩით, ეს თქვენთვის კეთდებაო.

– საპატრიარქო ცდილობს, შეაკავოს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. საპატრიარქომ ისე უნდა გააკეთოს, როგორც რომის პაპმა გააკეთა, მესის ჩასატარებლად მარტო რომ მივიდა. მეტრნახევარი დისტანციით 30 კაცი შეიძლება დაეტიოს, დანარჩენებმა რა ვქნათ, ვისაც სამებაში მისვლა გვინდა?! მაინც ყველა მივა.

– მაშინ, რა მნიშვნელობა აქვს პატრიარქის მოწოდებას, არ მოხვიდეთო?

– თუ პატრიარქი მოუწოდებს, ხალხი აღარ მივა. პატრიარქს დიდი რეიტინგი აქვს.

– გარკვეული რადიკალური ოპოზიციის შეთავაზებები და მოწოდებები თუ მოგწონთ?

– არა, ისინი მავნებლები არიან. დღეს ვინც მთავარ ოპოზიციას უწოდებს თავს, ჩვეულებრივი მავნებელია. მე, შეიძლება, კრიტიკულად ვიყო განწყობილი, მაგრამ, ამავდროულად, ნორმალური პოლიტიკური ძალები ვცდილობთ, რაღაცნაირად ხელი შევუწყოთ ხელისუფლებას კორონავირუსის დაძლევაში. ისინი კი მავნებლები არიან. ვაშაძეები და სააკაშვილი რასაც აკეთებენ, ჩვეულებრივი მავნებლობაა. პირიქით, მათ უნდათ, კორონასთან ხელისუფლება დამარცხდეს, რაც, მათი აზრით, გახდება საფუძველი არჩევნებში მათი წარმატებისა.

– სააკაშვილი ხელისუფლებას სთავაზობს, რომ უცხოეთიდან ადამიანების ჩამოყვანაში დაეხმარება.

– ამას შეთავაზება რად უნდა, ჩასვას თვითმფრინავში და გამოუშვას. სახელმწიფო მათ ძალიან მარტივად მიიღებს და უპატრონებს. სააკაშვილი ჩვეულებრივი მილიარდერია, თვითმფრინავების ყოლის შესაძლებლობაც აქვს, ჩასვას უცხოეთში მყოფი ადამიანები და გამოუშვას. ეს მას შეუძლია, მაგრამ უნდა, საქართველოს ხელისუფლებამ სთხოვოს. სააკაშვილს საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა სთხოვოს, ეს არ იქნება სწორი ნაბიჯი.

სააკაშვილს რამის გაკეთება თუ უნდა, გააკეთოს, ჩასვას ხალხი თვითმფრინავში, გამოუშვას და აეროპორტებში მათ საქართველოს მთავრობა მიხედავს. ამიტომ ეს სააკაშვილის წინასაარჩევნო ტრიუკია.

ენზელ მკოიანი: „პატრიოტთა ალიანსის წევრმა სამველ პეტროსიანმა ჩემი მოკვლა ცადა“

ნინოწმინდა-ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი ენზელ მკოიანი მას და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრ სამველ პეტროსიანს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე განცხადებას ავრცელებს.

როგორც მკოიანი გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს, 26 მარტს სამველ პეტროსიანმა მისი მოკვლა ცეცხლსასროლი იარაღით ცადა და დამიზნებით რამდენჯერმე ესროლა. როგორც მკოიანი აცხადებს, პეტროსიანი გასროლისას ყვიროდა, რომ მის მოკვლას აპირებს.

„ინტერპრესნიუსი“ დეპუტატის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„მსურს, საზოგადოებისთვის დეტალური განმარტება გავაკეთო რამდენიმე დღის წინ ახალქალაქში განვითარებულ ხმაურიან მოვლენებზე.

26 მარტს სამველ პეტროსიანი, ახალქალაქის პოლიციის ყოფილი უფროსი და ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაჟორიტარი, რომელიც დღეს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრია, კიდევ ერთხელ დაესხა თავს ჩემს ოჯახს და ამჯერად პირადად ჩემი მოკვლა ცადა.

სიტყვიერი შელაპარაკება, რომელიც მის შვილსა და ჩემს 19 წლის ძმისშვილს, არემ მკოიანს შორის დაიწყო და რომელსაც საერთოდ არ ვესწრებოდი, მოგვიანებით, ჩემი უშუალო მცდელობით, განიმუხტა. მას შემდეგ, რაც კონფლიქტი ყოველგვარი ფიზიკური დაპირისპირების გარეშე, ამონურულად ჩავთვალე და ოჯახის წევრებთან ერთად ტერიტორიის დატოვებას ვაპირებდი, ადგილზე სამველ პეტროსიანი მოვიდა და ჩემი მოკვლა ცეცხლსასროლი იარაღით ცადა.

მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, პეტროსიანმა ჩემი მიმართულებით სამჯერ დამიზნებით ისროლა და არაერთი თვითმხილველის წინაშე ყვიროდა, რომ ჩემს მოკვლას აპირებდა. ამ ნაამბობს ადასტურებს ჩანაწერები სათვალთვალო ვიდეოკამერებიდან, რომელიც შს სამინისტროს მიერ უკვე ამოღებულია და საქმის მასალებში დევს. რომ არა საპატრულო ეკიპაჟის სწრაფი და დროული ჩარევა და ის ფაქტი, რომ პეტროსიანს მეოთხე გასროლისას იარაღმა უმტყუნა, შესაძლოა, ეს დაპირისპირება ტრაგედიით დასრულებულიყო.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მიკერძოებული მედიასაშუალება მოვლენებს იმგვარად აშუქებს, თითქოს ამ დაპირისპირების ინიციატორი ვიყავი, თუმცა მინდა, სწორედ მათთვის განვმარტო, რომ როდესაც ცეცხლსასროლი იარაღით თავს ესხმი პარლამენტის წევრს და მის მოკვლას ცდილობ, ჰაერში ორი გამაფრთხილებელი გასროლის უფლება, აუცილებელი მოგერიების პირობებში, ნამდვილად მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სამველ პეტროსიანმა, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, მის მიერ გასროლილი ტყვიები საკუთარი ხელით გადამალა, სათვალთვალო კამერების ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ მან ოთხჯერ, დამიზნებით მესროლა. ხოლო მოგვიანებით პეტროსიანების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას შს სამინისტროს თანამშრომლებმა მის სახელზე რეგისტრირებული ათობით სხვადასხვა ტიპის იარაღი ამოიღეს, რომლებიც პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა გასულ წლებში მოსახლეობას უკანონოდ ჩამოართვა და საკუთარ სახელზე გაიფორმა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მისმა ვაჟმა, გეგორქ პეტროსიანმა, გასული წლის 4 ოქტომბერს ჩემს ძმას, მარტუნ მკოიანს, თავის არეში ქვით უმძიმესი დაზიანებები მიაყენა. აქვე განვმარტავ, რომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებასა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ ხულიგნობას გულისხმობს.

ამ მუხლებით არა მხოლოდ სამველ პეტროსიანი, არამედ ჩემი 19 წლის ძმისშვილიც დააკავეს, რომელმაც არასაბრძოლო იარაღით ჰაერში ჩემ დასაცავად გაისროლა.

ამ ისედაც უაღრესად დაძაბულ პერიოდში, როდესაც მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველოც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, როგორც ჩამს, ძალაუფლებისთვის ბრძოლა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო გადამწყვეტ ფაზაში შევა და ჩემი პოლიტიკური ოპონენტები კიდევ მეტი აგრესიით შეეცდებიან ჩემზე და ჩემს ოჯახზე თავდასხმას. თუმცა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლება არავის აქვს და ვიმედოვნებ, რომ დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება“.

სამველ პეტროსიანსა და არმენ მკოიანს პატიმრობა შეეფარდათ

დეპუტატ ენზელ მკოიანის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის სროლის ფაქტზე დაკავებულ სამველ პეტროსიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ახალქალაქში მომხდარი ხულიგნობისა და სროლის ფაქტზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ორ პირს შეეფარდა. კერძოდ, სამველ პეტროსიანის გარდა, პატიმრობა შეეფარდა ასევე ენზელ მკოიანის 19 წლის ძმისშვილ არმენ მკოიანს, რომელიც 26 მარტს მომხდარ დაპირისპირებაში ასევე იყო ჩართული.

პროკურატურის ინფორმაციით, სამველ პეტროსიანისა და არმენ მკოიანის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„2020 წლის 31 მარტს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და ქ. ახალქალაქში მომხდარი ხულიგნობისა და სროლის ფაქტზე ბრალდებულებს ს.პ.-ს და ა.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 26 მარტს, დაახლოებით 15:30 საათზე, ქ. ახალქალაქში, თავისუფლებისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე კაფე-ბარ „გოლდთან“, ს.პ.-მ და ა.მ.-მ ძალადობრივი ქმედებებით და ასეთი ქმედების მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღიდან და ხმოვანი პისტოლეტიდან არაერთი გასროლით გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა და უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. სამართალდამცველებმა ს.პ. და ა.მ. 28 მარტს დაიკავეს.

ს.პ.-ს და ა.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და იარაღად სხვა საგნის გამოყენებით) წარედგინა. ს.პ.-ს და ა.მ. -ს მიმართ წარდგენილი ბრალდებები, სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 46 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ და კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველებმა, მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 46 ფაქტი გამოავლინეს.

პოლიციამ საჯარო სივრცეში 10-ზე მეტი პირის შეკრების გამო 21 მოქალაქე დაჯარიმა.

4 ფიზიკური და 2 იურიდიული პირი დაჯარიმდა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის ფაქტზე.

პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, აქტიურად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ მონიტორინგს, რომლის შედეგადაც, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 13 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის ფაქტზე სამართალდამცველებმა 6 პირი დაჯარიმეს, რომლებიც, აკრძალვის მიუხედავად, მიკროავტობუსით მგზავრების საქალაქთაშორისო გადაყვანას ახორციელებდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პოლიცია ქვეყანაში საყოველთაო კარანტინის ფარგლებში არსებული შეზღუდვების კონტროლს ახორციელებს

საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაწესებულ საკარანტინო შეზღუდვებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, 24-საათიან, საგანგებო რეჟიმში აკონტროლებენ.

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, პირთა გადაადგილების კონტროლისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, ფოთის და გორის შესასვლელებში საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, თავდაცვის ძალებთან ერთად, საკონტროლო პუნქტების მეშვეობით, აღნიშნული ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებზე პირთა გადაადგილებას და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების შესრულებას აკონტროლებენ.

ასევე, ადგილზე ხდება მოქალაქეთა პირველადი თერმოსკრინინგი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას რეგულარულად, დეტალურად აუხსნიან საკარანტინო შეზღუდვებს და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაეხმარებიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით. განმეორებით საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ითვალისწინებს 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

ავტომობილით 3-ზე მეტი პირის მგზავრობის შემთხვევაში, მძღოლი 3.000 ლარით დაჯარიმდება

მსუბუქ ავტომობილში 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) განთავსებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ეკისრება.

ამის შესახებ ცვლილებები „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 23 მარტის დადგენილებაშია შეტანილი.

მძღოლი 3.000 ლარით დაჯარიმდება.

გარდა ამისა, დოკუმენტის მიხედვით, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის აღსრულებაზე პასუხისმგებელი და საკარანტინო ღონისძიების განმახორციელებელი უწყებების უფლებამოსილი მოსამსახურეების გადაადგილებაზე.

„საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, თუ სატრანსპორტო საშუალების სალონის მოწყობა აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა. სატრანსპორტო საშუალებით სამზე მეტი პირის გადაადგილების შეზღუდვა არ ეხება ამ დადგენილების შესაბამისად დაშვებულ მ2 და მ3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა სპეციალურ რეგულარულ გადაყვანას. ამ წესის დარღვევისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მძღოლს“, – ნათქვამია დოკუმენტში.

მკვლელობის მცდელობისთვის ტ.ბ.-ს 7 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისთვის ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისთვის ბრალდებული ტ.ბ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 12 ივლისს, თბილისში, ბეგიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტ.ბ-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გ.ბ.-ს სხეულის სხვადასხვა არეში სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობები მიაყენა, ხოლო მ.ნ. ფეხის არეში დაჭრა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად გ.ბ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ტ.ბ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში ქ.თბილისში დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ტ.ბ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

გუშინ, 31 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ 20 ივნისის საქმეზე დაკავებული ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა.

როგორც ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შუამდგომლობა დააყენა, რაც მოსამართლემ არ დაკმაყოფილა.

„გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა 27 ივლისს შეუფარდა.

გამოძიება მას სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს.

ექიმ პრიცენკოს, რომელსაც პუტინი სტუმრობდა, კორონავირუსი დაუდგინდა

საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომელსაც რამდენიმე დღის წინ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სტუმრობდა, კორონავირუსი დაუდგინდა.

„ძვირფასო მეგობრებო, დიახ, მე დამიდგინდა კორონავირუსი. თავს კარგად ვგრძნობ. იზოლირებული ვარ საკუთარ კაბინეტში“, – დაწერა ექიმმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

გასულ კვირას აღნიშნული საავადმყოფო ვლადიმერ პუტინმა მოინახულა და შეხვედრა გამართა ექიმებთან, მათ შორის ინფიცირებულ დენის პრიცენკოსთან.

თემაზე კომენტარი გააკეთა კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა.

მისი თქმით, პრეზიდენტს რეგულარულად უტარდება ტესტები კორონავირუსზე.

პორტუგალიამ მიგრანტებსა და თავშესაფრის მაძიებლებს დროებით მოქალაქეობა მიანიჭა

პორტუგალიამ მიგრანტებსა და თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებიც ქვეყანაში იმყოფებოდნენ, დროებით მოქალაქეობის უფლება მიანიჭა.

აღნიშნული ზომით ყველა მათგანს საშუალება ექნება, ისარგებლონ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემით კორონავირუსის პანდემიის განმავლობაში.

ყველა მიგრანტსა და თავშესაფრის მაძიებელს ექნება მოქალაქეობის დროებითი უფლება, რომელიც პორტუგალიის სახელმწიფოს ფარგლებში იფუნქციონირებს.

პორტუგალიაში ამ დროისთვის კორონავირუსის დადასტურებული 6.408 შემთხვევაა აღრიცხული. გარდაცვლილთა რაოდენობამ 140 შეადგინა, ხოლო 43 პაციენტი საავადმყოფოებიდან გაეწერა.

პანამაში კვირა დღეს ყველა სახლში დარჩება

პანამამ კორონავირუსთან ბრძოლის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდენტ ლორენსო კორტიზოს ინფორმაციით, გამოიყოფა დღეები, როცა მხოლოდ ქალებს ან მხოლოდ მამაკაცებს შეეძლებათ გარეთ გასვლა.

– პირველი აპრილიდან ქალები საჭმლის საყიდლად სახლიდან გასვლას შეძლებენ ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით, ხოლო მამაკაცები – სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით. რაც შეეხება კვირას, ყველა დარჩება სახლში, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პანამაში კორონავირუსის სულ 1.000 შემთხვევაა დაფიქსირებული. ვირუსით 27 ადამიანი გარდაიცვალა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პოლიციამ ორგია ჩაშალა

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში დააკავეს ორგიის მონაწილეები, რომლებიც ქვეყნის ხელისუფლების მიერ კორონავირუსის ეპიდემიის გამო შემოღებული კარანტინის პირობებში მის მოწყობას გეგმავდნენ.

პოლიციის სამოქალაქოფორმიანი რამდენიმე თანამშრომელი ეწვია ბინას, რომელშიც, მათი ინფორმაციით, ორგიის მოწყობა მზადდებოდა. როდესაც მათ კარზე დარეკეს, ისინი ორგიის ახალ მონაწილეებად მიიღეს და შიგნით შეიპატიჟეს. იმ დროისთვის ბინაში დაახლოებით 30 მამაკაცი იმყოფებოდა, რომლებიც არ მალავდნენ, რომ ჯგუფური სექსით დაკავებას აპირებდნენ. ზოგიერთი მათგანი პოლიციელების თვალწინ იღებდა კოკაინს, მეტამფეტამინს და ექსტაზს.

სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის შემდეგ დაგეგმილი ღონისძიება ჩაიშალა. რვა ადამიანი დააპატიმრეს, მათ ნარკოტიკების შენახვისა და გავრცელების ბრალდება წაუყენეს. ორგიის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც ახველებდა, კორონავირუსზე ტესტი ჩაუტარდა. ის ჯანმრთელი აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროფიზიკოსი, რომელიც კორონავირუსთან ბრძოლის მოწყობილობას იგონებდა, საავადმყოფოში აღმოჩნდა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მკვიდრი ასტროფიზიკოსი საავადმყოფოში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მას ცხვირში რამდენიმე მაგნიტი გაეჭედა, რომლებისგანაც ის კორონავირუსის გავრცელებასთან ბრძოლის მოწყობილობის გამოგონებას ცდილობდა.

სუინბერნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მკვლევარმა დანიელ რეარდონმა ჩაიფიქრა მაგნიტური მძივის დამზადება, რომელიც გააფრთხილებდა ადამიანებს იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ხელებს სახესთან ახლოს მიიტანდნენ.

– მას იმავე ლოგიკით უნდა ემუშავა, როგორც მუშაობს კლიპსები ყურებზე. მე მაგნიტები ყურების ბიბილოებზე მივიერთე, შემდეგ კი – ცხვირის ნესტოებზე, – განაცხადა რეარდონმა. როდესაც მკვლევარი მათ მოხსნას შეეცადა, მაგნიტები ერთმანეთს მიეზიდა და ცხვირში გაიჭედა. მამაკაცი შეეცადა, ცხვირის ნესტოებიდან უცხო სხეულები ბრტყელტუჩას დახმარებით მოეცილებინა, მაგრამ ამან მდგომარეობა უფრო გაართულა.

რეარდონი საავადმყოფოში მისმა მეგობარმა ქალმა მიიყვანა, რომელიც იქვე მუშაობს. მას სურდა, კოლეგები ამით გაემხიარულებინა. ექიმებმა მამაკაცის ცხვირის ნესტოებიდან სამი მაგნიტი გამოიღეს, ხოლო ერთი მას ყელში გადასცდა, თუმცა მისი ამოხველება თავადვე მოახერხა. რეარდონის თქმით, ის მაგნიტებით მსგავსი ექსპერიმენტების გაგრძელებას აღარ აპირებს.

სინგაპურში კარანტინის დამრღვევს პასპორტი გაუუქმეს

სინგაპურის ხელისუფლებამ ადგილობრივ მცხოვრებს მას შემდეგ, რაც მან კარანტინი დაარღვია, პასპორტი გაუუქმა.

53 წლის ილია ვიქტორ გო სინგაპურიდან ინდონეზიაში გაემგზავრა და უკან 19 მარტს დაბრუნდა. მან მიიღო შეტყობინება ორი კვირით კარანტინში მოთავსების აუცილებლობის თაობაზე, კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში.

თუმცა მამაკაცი იმავე დღეს ისევ ინდონეზიაში გაემგზავრა, იმის მიუხედავად, რომ ის, შესაძლოა, ათი ათასი დოლარით დაეჯარიმებინათ ან ნახევარი წლით დაეპატიმრებინათ. ის სინგაპურში 24 მარტს დაბრუნდა და საიმიგრაციო სამსახურიდან განმეორებით მიიღო მითითება კარანტინში მოთავსების აუცილებლობაზე. შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ გომ თავისი ქმედებით გამოავლინა უპასუხისმგებლობა, კარანტინისთვის თავის არიდებასთან დაკავშირებით.

შედეგად სინგაპურის საიმიგრაციო სამსახურმა გოს პასპორტი გაუუქმა და მისი საქმე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს გადასცა. პასპორტის გარეშე ის ვეღარ შეძლებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას, თუმცა მის მოქალაქეობას შეინარჩუნებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხელფასების შემცირებაზე რეალიც დაფიქრდა

მადრიდის რეალის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებისა და კალათბურთელებისთვის ხელფასების შემცირებას გეგმავს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი კარანტინის პირველ დღეებს ოპტიმისტურად შეხვდა, ფინანსური მდგომარეობის გადახედვა მაინც საჭირო გახდა.

იზოლაციის დროს კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი გუნდის კაპიტან სერხიო რამოსს შეხვდა და პირობა მისცა, რომ პანდემია ფეხბურთელების ხელფასებზე არ იმოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ რეალი ფეხბურთელებისა და კალათბურთელების ხელფასებზე წელიწადში 800 მილიონ ევროს ხარჯავს.

პანდემიას რეალი კარგ ფინანსურ მდგომარეობაში შეხვდა. გასული წლის ბოლოს გუნდის ანგარიშზე 156 მილიონი ევრო იყო, რომლიდანაც კლუბის ვალი 27 მილიონს შეადგენდა.

და მაინც, კლუბში ფინანსების დათვლა დაიწყეს. რეალს გასამართი მატჩებიდან – 161,3 მილიონი ევრო, ხოლო ტელეტრანსლაციებიდან 179,8 ევრო უნდა მიეღო. ამიტომ გუნდი ფინანსურ დანაკლისს აუცილებლად მიიღებს. თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტიათ, რამდენი პროცენტით შეუმცირებენ სპორტსმენებს ხელფასებს, მაგრამ, ფაქტია, რომ საკითხი უკვე დღის წესრიგში დგას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

მერაბ კოკოჩაშვილი 85 წლის გახდა



კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი 85 წლის გახდა.

– გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდება კულტურის მიმართ დამოკიდებულებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ის სულ დეგრადაციას განიცდის. კულტურა არის საფუძველი, ის ფუნდამენტი, რომელზეც ყველაფერი დგას – პოლიტიკაც, სოციალური ურთიერთობებიც, ჯანმრთელობაც, ჭამა-სმაც და ყველაფერი. ამაზე გაცილებით მეტი ყურადღებაა საჭირო და, ვფიქრობ, ხელისუფლებას ამის მიმართ ძალიან სერიოზული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. საჭიროა სტრატეგიის გამომუშავება, რომელშიც კულტურა ერთ-ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს, – ამბობს იუბილარი რეჟისორი და შეუძლებელია, მას ამაში არ დაეთანხმო.

საქართველოს სახალხო არტისტი და რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი წლების განმავლობაში იყო კომპანია „ქართული ტელეფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი. მის ფილმებს მიღებული აქვს მთავარი პრიზები საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ კინოს ყოველ ათწლეულში ემატებოდა მერაბ კოკოჩაშვილის კინომარგალიტები. მან შექმნა თვისობრივად ახალი, ქართული კინემატოგრაფისათვის ძალზე მნიშვნელოვანი კინოშედევრები, რომლებიც უძლიერეს ეროვნულ საწყისებზეა აღმოცენებული. მისი ფილმები იმ მოქალაქეობრივი პათოსით გამოირჩევა, რომელსაც სამართლიანობა, ღვთისა და მოყვასის სიყვარული ჰქვია.

როგორც მისი კოლეგები აღნიშნავენ, მერაბ კოკოჩაშვილი კინემატოგრაფისტთა უფროს თაობას მიეკუთვნება, მაგრამ, ვინც მას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მასზე ახალგაზრდა არავინაა. ის არის დაუზარელი, აქტიური, ენერგიით აღსავსე, დასახმარებლად ყოველთვის მზად მყოფი ადამიანი.

მაყურებელი კვლავაც ელის ახალ კინოშედევრებს ტიტრებით: დამდგმელი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი. იმედია, ეს მოლოდინი დიდხანს არ გასტანს, რადგან იუბილარი რეჟისორი მუშაობს ახალ ფილმზე „ტერცო მონდო“, რომლის გადაღებებიც დასასრულს უახლოვდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„თავისუფალი თეატრი“ იუბილარია



„თავისუფალი თეატრი“ იუბილარია. მას 19 წელი შეუსრულდა. რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დაარსებული თეატრი წლებია, არ კარგავს აქტუალურობას და მაყურებლის სიმცირესაც არ უჩივის.

ავთო ვარსიმაშვილი, რეჟისორი:

– „თავისუფალი თეატრი“ 19 წლის გახდა. რამდენ სიხარულს, გამარჯვებას, ბედნიერებას იტევს ეს წლები. ვნახეთ ღალატიც, ტკივილიც და უბედურებაც... მაგრამ მაინც ვიდექით ფეხზე და კვლავაც ვიდგებით. ჩვენი პირველივე სპექტაკლი ხომ ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „მაინც ვითამაშებთ!“

ამ 19 წლის განმავლობაში საქმით დავამტკიცეთ, რომ „თავისუფალი თეატრის“ დევიზი: „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლესა და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს“ არ ყოფილა მარტო გახსნის დღისათვის დეკლარირებული ლამაზი სიტყვები. ზუსტად სიმართლისა და დღესასწაულისათვის ვუყვარდით და ვუყვარვართ მაყურებელს.

„თავისუფალი თეატრი“ 19 წელია არსებობს და მე ამაყი ვარ, რომ ცხრამეტივე წელია, ყველა რეიტინგით „თავისუფალი“ საუკეთესო ქართული თეატრების პირველ რიგებშია. დიდი მადლობა ჩვენს მაყურებელს, რომელმაც პირველივე წამიდან შეიყვარა ჩვენი თეატრი და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი წამით არ განელებია ეს სიყვარული. მე ვამაყობ იმით, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე ამ 19 წლის განმავლობაში 1000-ზე მეტმა ახალგაზრდამ დადგა პირველად ფეხი და პროფესიული ასპარეზი სწორედ „თავისუფალის“ სცენაზე დაიწყო. დღეს მე ვამაყობ „თავისუფალი თეატრის“ სამსახიობო ვარსკვლავური დასით, რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე მაღალპროფესიონალური თეატრი და, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის საუკეთესო დასია დღეს საქართველოში.

პირველად ამ 19 წლის განმავლობაში არ აღვნიშნავთ ჩვენი დაბადების დღეს თეატრის კედლებში. ასეა ეს დღეს საჭირო თითოეული ჩვენგანისათვის, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ ჩვენ თქვენთან ვართ და თქვენ კიდევ ჩვენთან. ამას მოწმობს ჩვენი სპექტაკლების ვიდეოჩვენებების ათასობით ნახვა.

მჯერა, ძალიან მალე შევხვდებით ერთმანეთს ჩვენს თეატრში.

გილოცავთ ყველას „თავისუფალი თეატრის“ დაბადების დღეს.

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია ურولოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

გია ჯიშკარიანი: „აქციებზე დავდიოდით. ეროვნული ჩემპიონატის დაწყება ყველას გაგვიხარდა“

30 წელი გავიდა, რაც საქართველომ დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარება დაიწყო. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, ბევრჯერ შეიცვალა რეგულაციები, მაგრამ შეჩერებული არასდროს ყოფილა.

1990 წელს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი დაიწყო. გახსნის მატჩში თბილისის იბერიამ, იგივე დინამომ, რომელმაც სახელი ეროვნული პირველობისთვის გადაირქვა, ფოთის კოლხეთს უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

იმ ისტორიული მატჩის მონაწილეთაგან თბილისურ გუნდში ახლა მხოლოდ გია ჯიშკარიანია, რომელმაც მოედანზე მცირე დრო დაჰყო, რადგან შეცვლაზე შევიდა. კოლხეთთან თამაშის გახსენება სწორედ მას ვთხოვეთ.

– ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობიდან 30 წელიწადი შესრულდა. როგორ გაიხსენებთ იმ პერიოდს?

– საქართველოში რთული დრო იყო, დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიტინგები იმართებოდა, ფეხბურთელებიც მათ გვერდით ვიდექით და ვარჯიშების შემდეგ თითქმის ყოველდღე აქციაზე მივდიოდით. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს ვარჯიში გვქონდა, შინ 12 საათზე ვბრუნდებოდით. 9 აპრილის ტრაგიკულ საღამოსაც იქ ვიყავით.

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ჯერ არ ვიცოდით, რა და როგორ იქნებოდა. იმ პერიოდში ანტალიასა და უცხო ქვეყნებში შეკრებაზე წასვლა იშვიათი შემთხვევა იყო. ჩვენც აფხაზეთში, ლესელიძეში ვიყავით შეკრებილი, როცა გავიგეთ, რომ საქართველოში დამოუკიდებელი ჩემპიონატი ჩატარდებოდა. კარგად მახსოვს მაშინდელი ზეიმი ავტობუსში და ემოციებით დატვირთული გზა თბილისამდე. ძალიან დამუხტულები და შემართულები ვიყავით.

– ეროვნული ჩემპიონატი პირველი პრეზიდენტის სიტყვით გაიხსნა.

– სხვა ქალაქებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან იქ რაც ხდებოდა, ჩვენი თვალით არ გვინახავს, მაგრამ თბილისში საზეიმო და ემოციური განწყობა იყო. 80.000 გულშემატკივარიც ამის დასტურია. ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, როცა ეროვნული ჩემპიონატის მატჩს ამდენი მაყურებელი დაესწრო. ზვიად გამსახურდიას გამოსვლაც დამატებითი მოტივაცია იყო.

– უშუალოდ შეხვედრას როგორ გაიხსენებთ?

– პირადად მე ტრავმა მაწუხებდა, მაგრამ ძალიან მოტივირებული ვიყავი. მაშინ დინამოს დავით ყიფიანი წვრთნიდა და ვთხოვე, თუნდაც 1 წუთით მაინც ვეთამაშებინე. მართლაც, თამაშის ბოლოს მოედანზე შევედი. სამწუხაროდ, ის მატჩი წავაგეთ. სტარტი ცუდი გამოგვივიდა, მაგრამ შემდეგ ჩემპიონები გავხდით და ტიტულს 9 წლის განმავლობაში ვინარჩუნებდით.

– როგორი იყო მაშინ კონკურენცია საქართველოს ჩემპიონატში?

– ძალიან ძლიერი. საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში ბევრი კარგი გუნდი იყო – ლანჩხუთის გურია, სოხუმის დინამო. ეს გუნდები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც ანგარიშგასაწევნი იქნებოდნენ. იგივე კოლხეთიც არ იყო ხელწამოსაკრავი გუნდი. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი ვიყავით, მაგრამ რამდენიმე წელიწადი ერთად გვქონდა ნათამაშები და ერთმანეთს კარგად ვიცნობდით.

– თუმცა მრავლად იყვნენ კრიტიკოსებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სსრკ-ის ჩემპიონატში დარჩენა საქართველოს მეტ წარმატებას მოუტანდა. ეთანხმებით მათ?

– ვერანაირად ვერ დავეთანხმები... შესაძლოა, 1 ან 2 წელიწადი ჩემპიონატს გარკვეული დონე შეენარჩუნებინა, მაგრამ, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირი, ისე ის ჩემპიონატიც დაშლის პირას იყო. სასიამოვნოა, რომ ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველები, ვინც საბჭოთა ჩემპიონატიდან გამოვიდა. რაც შეეხება დონეს, სამწუხაროდ, შიდა და გარე ომებმა, 90-იანი წლების სოციალურმა გაჭირვებამ როგორც თლიანად ქვეყანას, ისე ქართულ ფეხბურთს თავისი კვალი დაამჩნია.

– ამჟამადაც დინამოში ხართ და მუშაობთ. კორონავირუსის გამო ჩემპიონატი შეჩერებულია. როგორ ემზადებით ასეთ პირობებში?

– სამწუხაროა, რომ საჭირო გახდა სეზონის შეჩერება. ფაქტობრივად, შეკრებამ, რომელიც გუნდებმა ზამთარში გაიარეს, ყველანაირი აზრი დაკარგა. ყველაფრის მიუხედავად, მაქსიმალურად ვცდილობთ ფორმის შენარჩუნებას. შევადგინეთ სპეციალური პროგრამა, რომელიც ფეხბურთელებს დავურიგეთ და სახლში ფიზიკურად ემზადებიან. ასევე არის კომუნიკაცია ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის, თუმცა, ცხადია, მომზადების ასეთი სქემა ჩვეული რეჟიმისგან შორსაა.

– არსებობს ვერსია, რომ სეზონის დარჩენილი ნაწილი 2 წრედ ჩატარდეს. რამდენად მოგწონთ ეს გეგმა?

– ეს ჩემპიონატის გაგრძელების ერთ-ერთი გზაა, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, სეზონის დარჩენილი ნაწილის განახლებას როდის შევუდგებით. თუ ზაფხულში მოგვიწევს, მაშინ ასეთი მიდგომა სწორი იქნება. გუნდებს ჯერ მხოლოდ 2 ტური აქვთ ნათამაშები. ამას დაუმატეთ ევროტურნირებზე გამოსვლა და ძალიან გადატვირთულ კალენდარს მივიღებთ. 18 მატჩსა და თასის თამაშებს კი ადვილად გავანაწილებთ. ვნახოთ, იმედია, ეს სიტუაცია მალე გადაივლის და საფეხბურთო მოედანს დავუბრუნდებით, რომელიც ძალიან მოგვენატრა. გავითვალისწინოთ რეკომენდაციები და დავრჩეთ სახლში. ჯანმრთელობას გისურვებთ!

კიტეიშვილი ავსტრიელებს დოჩანაშვილს ურჩევს

მოგეხსენებათ, ავსტრიულ შტურმში ქართველი ლეგიონერი ოთარ კიტეიშვილი თამაშობს. მსოფლიო პანდემიის გამო ჩვენებური იზოლაციაში იმყოფება. როგორც კლუბის ვებგვერდიდან ირკვევა, კიტეიშვილის ჰობი წიგნების კითხვაა და გრაცული კლუბის ქომაგებს მისთვის საინტერესო წიგნებს ურჩევს.

კიტეიშვილი ინგლისურად კითხულობს, რაც ენის დახვეწაში ეხმარება, მაგრამ არც ქართულს ივიწყებს. მის 3 რჩეულ წიგნთა შორის გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ ფიგურირებს.

ოთარ კიტეიშვილი:

– ცხოვრებაში ძალიან მშვიდი ბიჭი ვარ. უპირატესობას ვანიჭებ იმას, რომ ჩემი ტემპერამენტი მოედანზე ბურთთან ერთად ვაჩვენო. არ დავდივარ კლუბებში, თავისუფალ დროს მეუღლესთან ერთად ვატარებ ან წიგნს ვკითხულობ. წიგნებს ძირითადად ინგლისურ ან ქართულ ენაზე ვკითხულობ. ინგლისურენოვანი წიგნების კითხვით ენის ცოდნას ვიუმჯობესებ. ჯერ გერმანულ ენას იმ დონეზე ვერ ვფლობ, რომ წიგნის კითხვა მოვახერხო. მრავალფეროვან ნოველებს გთავაზობთ, იმედი მაქვს, შტურმის ქომაგები სიამოვნებას მიიღებენ.

ვებგვერდზე წერია, რომ ოთარ კიტეიშვილი შტურმის ქომაგებს 3 წიგნის წაკითხვას ურჩევს: ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“, კნუტ ჰამსუნის „მისტერიები“ და გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“.

შტურმის ვებგვერდზე გურამ დოჩანაშვილის მოკლე ბიოგრაფიასაც ვკითხულობთ:

– გურამ დოჩანაშვილი თბილისში დაიბადა, ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, ხელმძღვანელობდა ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილებას. დოჩანაშვილი „სამოსელი პირველის“ ავტორია, რომლის პირველი ნაწილი 1975 წელს გამოვიდა, მეორე – 1978 წელს, ხოლო მესამესა და მეოთხე ნაწილს მკითხველი 1980 წელს გაეცნო. სიუჟეტი თავგადასავლის მაძიებელ ბიჭზეა, რომელზეც დიდად იმოქმედა იდუმალებით მოცული კაცის, ლტოლვილის ნაამბობმა. წიგნის მოტივებია მეგობრობა, სიყვარული, სიკეთე, ბოროტება, გულწრფელობა, პატიოსნება.

მანჩესტერი სანჩოს უმიზნებს

მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში პრემიერლიგის მომავალი ვირუსის გამო ჯერ კიდევ გაურკვეველია, ეს კლუბებს თავიანთი მომავლის დაგეგმვაში ხელს არ უშლის.

გავრცელებული ცნობით, მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელ ოლე გუნარ სოლსკიაერს ტრანსფერების მხრივ „მწვანე შუქი“ აუნთო და დაჰპირდა, რომ მის მიერ მოთხოვნილ ფეხბურთელებს შეიძენენ.

ერთ-ერთი პრიორიტეტი ჰარი კეინი იქნება. იუნაიტედის აღმასრულებელმა დირექტორმა ედ ვუდვორდმა მოლაპარაკება უკვე გამართა ტოტენჰემის პრეზიდენტ დანიელ ლევისთან, რათა კეინი გადაიბიროს. ეს უნდა მოხდეს მაშინვე, როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება.

ტრავმამოშუშებული კეინი ისე ვერ გამოიყურება, როგორსაც ტოტენჰემის შეფები მისგან მიჩვეული იყვნენ, ამიტომაც არ წყდება ჭორები, რომ კეინი მოურინიოს გაწვრთნილ გუნდს სეზონის ბოლოს დატოვებს და მისი შემდეგი გუნდი სწორედ მანჩესტერ იუნაიტედი იქნება.

მართალია, კეინის დამატებით მანჩესტერ სიტიც დაინტერესებულია, მაგრამ აქ მთავარი თავად ფეხბურთელის პოზიციაა, რომელიც ინგლისში უპირატესობას მხოლოდ „წითელ ეშმაკებს“ ანიჭებს.

სხვადასხვა გამოცემის თანახმად, იუნაიტედმა ასევე შეათანხმა ყველა დეტალი ჯეიდონ სანჩოსთან და ჯეკ გრილიშთან. ორივე ფეხბურთელი სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე შეუერთდება გუნდს. მათი მანჩესტერში მისვლა იუნაიტედის თამაშის ხარისხს საგრძნობლად გაუმჯობესებს. თუ ვუდვორდმა მოახერხა და კეინიც დაიმატა, ეს მათთვის ახალი ერის დასაწყისი იქნება.

არადა, სანჩოს გადაბირებით ასევე დაინტერესებული იყვნენ სიტი და ლივერპული, მაგრამ ფეხბურთელი მათი წინადადების განხილვას არ აპირებს, რადგან ორივე კლუბს მის პოზიციაზე ორ-ორი ფეხბურთელი ჰყავს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ იუნაიტედი სანჩოს ლეგენდარულ 7 ნომერს უკვე დაჰპირდა, ხოლო 20 წლის ინგლისელი მზად არის, „ოლდ ტრაფორდზე“ იმ შემთხვევაშიც გადავიდეს, თუ მანჩესტერი ჩემპიონთა ლიგაზე ვერ მოხვდება.

პირობების თანახმად, თუ სანჩო 2 წელიწადში სერიოზულ პროგრესს აჩვენებს და გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარება, მისი ხელფასი კვირაში 400.000 გირვანქა სტერლინგამდე გაიზრდება.

სანჩო ასევე გახდა პირველი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც ბუნდესლიგაში 25 გოლი გაიტანა და გააუმჯობესა ჰირსტ კეპელის რეკორდი, რომელმაც 1972 წელს 24 გოლი შეაგდო. ასევე გახდა პირველი მოთამაშე, რომელიც ამ საუკუნეში დაიბადა და ინგლისის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა.

სოლსკიაერი დარწმუნებულია, რომ სანჩო შესანიშნავად მოერგება ახალ პროექტს, რომელსაც ქმნის. სანჩო მუდმივად ურთიერთობს მარკუს რაშფორდთან და, გამოცემის თანახმად, იუნაიტედის თავდამსხმელმა არაერთხელ განუცხადა თავის მწვრთნელს, რომ სანჩო არის სანდო პიროვნება და ღირსია, ითამაშოს „წითელ ეშმაკებში“.

მანჩესტერის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სანჩო ახალ სეზონში მათი საუკეთესო შენაძენი გახდება და მასში გადახდილი 130 მილიონი ევრო ასტრონომიული თანხა სულაც არ იქნება.

აი, როგორ იქნება საქმე გრილიშის მხრივ, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, რადგან ბოლო 24 საათში სიტუაცია ცოტა შეიცვალა. ასტონ ვილას ნახევარმცველი მშვენიერ სეზონს კი ატარებდა, მაგრამ ამჯერად სხვა რამით მიიქცია ყურადღება – კარანტინის წესები დაარღვია და თანაც ავტოავარიაში მოყვა.

საინტერესოა, რომ 28 მარტს გრილიშმა ვიდეო გამოაქვეყნა მოწოდებით – დარჩით სახლში. ამაში გასაკვირი არაფერია, მსგავსი მოწოდებები ბევრმა ფეხბურთელმა თუ სპორტსმენმა გააკეთა, მაგრამ, როდესაც ბირმინგემის გუნდის კაპიტანი მოწოდებებს აკეთებდა, სხვა განზრახვა ჰქონდა – საკუთარ მანქანაში ჩახტა და მეგობრის იუბილეზე გაგრიალდა. გრილიშს იქ მთელი ღამე გაუტარებია, დილით წამოსულს კი გზაში საჭეს უმტყუნა და რამდენიმე მანქანა დააზიანა.

თვითმხილველები ამბობენ, რომ გრილიში აშკარად ნასვამი იყო, თუმცა დებოში არ აუტეხია და ამბობდა, ჩემი ბრალიაო.

არადა, იუნაიტედს გრილიშისთვის 80 მილიონი ევრო გამზადებული ჰქონდა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მე-12 საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 2. კინოთეატრი თბილისში; 3. ქართული მალამო; 4. ძრავიანი ველოსიპედი; 5. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 8. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 12. ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი ფრანგი მოქანდაკე; 13. ტკივილის შეგრძნების დაკარგვა; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 19. ბრაზილიური არაყი; 20. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი.

თარაზულად: 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. ქართული ძილისპირული; 11. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 14. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 15. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 18. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 21. ფანტასტიკური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 22. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 23. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 24. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი, მეშჩანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰამერი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კრკა; 6. ნამაზი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. პოლიცია; 15. წირქოლი; 19. ტახი.

თარაზულად: 1. ჰიპოპოტამი; 4. მარკონი; 7. მარკესი; 9. ჟაკერია; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. ბანოვანი; 17. ფორნებუ; 18. სიკოფანტი; 20. ნამიბია; 21. ნეტო; 22. ერისიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პიკე; 2. შაორი; 3. მთიელი; 5. ლიოვი; 6. გასტრიტი; 8. ტრიფოლიატი; 10. ინტრიგა; 12. ასტურია; 14. მატანი; 15. სატირა; 16. გუელი.

თარაზულად: 1. პირმშო; 4. ალტინგი; 7. აკორდი; 9. ლოგიკა; 11. გირკანი; 12. აპერკოტი; 13. ბრეხტი; 17. გრაცია; 18. კარე; 19. სიკოფანტი; 20. ბილინგვა.

პრემიერლიგა დახურულად დასრულდება

ბრიტანული მედიის ცნობით, ინგლისის პრემიერლიგამ შეიმუშავა 2019-20 წლების სეზონის დასრულების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოკლევადიან ტურნირს, დაახლოებით ისეთს, როგორიცაა მსოფლიო თასი.

ვნახოთ, რა გეგმას გვთავაზობს პრემიერლიგის ხელმძღვანელობა:

– იმისათვის, რომ სეზონი არ გაუქმდეს და კლუბების უკმაყოფილება თავიდან აიცილონ, პრემიერლიგა გეგმავს იზოლირებული ბაზების შექმნას, სადაც გუნდები განთავსდებიან. გაიმართება დახურული ტურნირი, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა და მაყურებელი დასწრებას ვერ შეძლებს.

ბრიტანული გამოცემების თანახმად, მსგავს გეგმაზე დადებითი პასუხი მიიღეს ინგლისის მთავრობისგან.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ხოლო ტურნირის ყველა მონაწილეს რეგულარულად ჩაუტარდება ვირუსის ტესტები.

ამავდროულად, გუნდებს საშუალება ექნებათ, გააფართოონ თავიანთი სიები: თუ ახლა მხოლოდ 25 კაცია დაშვებული, მათი რაოდენობა გაიზრდება, რათა გაუმკლავდნენ მატჩების ინტენსივობას. ასევე გაუქმდება უცხოელი მოთამაშეების ზღვარი.

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2845	ევრო — 3.6363
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.0725	100 რუსული რუბლი — 4.1226

ამინდის პროგნოზი 1 აპრილისთვის



მიხეილ ზაქარიაშვილი: „წადით სოფლებში!“

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი მოუწოდებს ყველას, წავიდნენ სოფლებში და შიმშილისგან თავი გადაირჩინონ:

– მოგიწოდებთ ყველას, ვისაც გაქვთ სოფლები, აგარაკები, წადით სოფლებში და შიმშილისგან გადაირჩინეთ თავი. იქ უფრო იშოვით ელემენტარულ საკვებს. სწორედ ახლაა სოფლებში დაბრუნების დრო! ჩაატარეთ საგაზაფხულო სამუშაოები. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!

აი, ქალაქელებს, ვისაც არ გვაქვს არსად წასასვლელი, იქნებ ხელისუფლება დაგვეხმაროს პროდუქტებით ან მდიდარი კეთილი ადამიანები გამოჩნდით და გაიღეთ მოწყალება, მოაკელით მილიონებს ცოტა და დაეხმარეთ ხალხს. ღმერთი შეგეწევათ!

დღეს ყველა უმუშევრები დავრჩით და შიმშილის ზღვარზე ვართ. მსოფლიო ვერ გამოვა ამ ეკონომიკური კრიზისიდან კიდევ დიდი ხანი, მით უმეტეს – ჩვენი ქვეყანა! მხოლოდ კეთილი ახლობელი ადამიანების დანაზოგებით გაგვაქვს ჯერჯერობით თავი! ამ საქმეს თუ დროზე არ გააკეთებთ, უარეს შედეგებს მივიღებთ, ხალხი უკონტროლო გახდება და მიაშურებს სუპერმარკეტებს. უნდა გაძლიერდეს მაღაზიების დაცვა ამის თავიდან ასაცილებლად!

პირადად მე კიდევ რამდენიმე კვირა ვეცდები, ვებრძოლო ოჯახში ვირუსს სახლში ჯდომით და არავინ შევაწუხო, მაგრამ მერე? ხომ ხვდებით, რომ განუსაზღვრელი ვადით ხალხი ვერ დარჩება სახლში. მე გავუძღები შიმშილსაც, მაგრამ მშიერი შვილები გვყავს და განვიცდით უკვე. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებაც ფიქრობს ამას, მაგრამ იქნებ დროზე მოახერხოთ ამ საქმის დალაგებაც.

არანაირი ინფრასტრუქტურების გაკეთების დრო არ არის, ახლა ხალხის გადარჩენის დროა! გამოყავით ფონდებიდან დახმარება იმათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდხანს ვერ გააჩერებთ სახლში დამშეულ ხალხს და უარეს შედეგებს მივიღებთ პანდემიის გავრცელებაში და, თუ გავრცელდა და უკონტროლო გახდება, ჩვენი გმირი ექიმებიც ვეღარაფერს უშველიან ხალხს.

„ნიჭიერი“ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო ეთერში არ გავა

სახალხო შოუ „ნიჭიერი“, რომელიც ჯერ 23 მარტს და შემდეგ 30 აპრილს ტელეკომპანია „იმედზე“ უნდა დაწყებულიყო, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო ეთერში არ გავიდა:

– ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო „ნიჭიერი“ ეთერში არ გავა.

ეთერში გასვლის ზუსტ თარიღს აუცილებლად გეტყვით ძალიან მალე. ამისათვის საჭიროა, თვალი ადევნოთ ჩვენს გვერდს, – ნათქვამია გადაცემის ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 აპრილისთვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ვერცყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შენი ცოლი შენზე რატომაა განაწყენებული?

– გუშინ კაბა მოვუტანე, მან დახედა და მეუბნება: „უტვინო, ამას არავინ იცვამს“.

– და მერე რა?

– დღეს სხვა კაბა მოვუტანე, ის კი მეუბნება: „დებილი ხარ, ეს ხომ თითქმის ყველა ქალს აცვია!“

●●●

ციხის საკანში ახალ პატიმარს ეკითხებიან:

– რისთვის დაგაპატიმრეს?

– გედებს პურის ნამცეცებს ვუყრიდი?

– და ამაში რა არის კანონსაწინააღმდეგო?

– ბალეტზე ვიყავი „გედების ტბა“.

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– მე, როგორც პატიოსანი მამაკაცი, მას შემდეგ, რაც წუხელის ჩვენ შორის მოხდა, ვალდებული ვარ, ცოლად შეგირთოთ.

ქალი იცვამს და შეშინებული სახით ეკითხება:

– ვაიმეე, და რა მოხდა?

●●●

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– შენ ცოლს როგორი უცნაური აქცენტი აქვს და საიდან?

– მარნიდან.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, გავიგე, მეცნიერებს ისეთი ავადმყოფობა აღმოუჩენიათ, რომელიც მხოლოდ კონიაკით იკურნება...

– რას მეუბნები?! და როგორ შეიძლება ავიკიდო ასეთი მშვენიერი დაავადება?

●●●

სამსახურში მისულ ერთ თანამშრომელს მეორე ეკითხება:

– თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– გუშინ ერთი ქალი გავიცანი, მან კეკლუცად მთხოვა გამომეცნო მისი ასაკი.

– და მერე?

– გამოვიცანი...

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ნაზი, გამომყევი ცოლად!

– დილით გამოფხიზლდები და გადაიფიქრებ!

– გეფიცები, არ გამოვფხიზლდები!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ატალანტას უკრაინელი ლეგიონერი: „იტალიაში ორმა მედდამ თავი მოიკლა“

ბერგამოს ატალანტას უკრაინელმა ლეგიონერმა რუსლან მალინოვსკიმ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ იტალიას ძალიან უჭირს და ყველაფერი, რაც ინერება, სიმართლეს შეესაბამება:

„ორმა მედდამ თავი მოიკლა, რადგან მათ ამდენი სიკვდილის ყურება აღარ შეეძლოთ. ეს რაღაც საშინელებათა ფილმს ჰგავს. კორონავირუსი ხუმრობა არ არის და ყველას ვთხოვ, სახლში დარჩეს. ერთი თვეა, იტალიაში ნამდვილი ჯოჯოხეთია და, იმედი მაქვს, ეს მალე დამთავრდება“.

ნეიმარი კარანტინის წესებს მკაცრად იცავს

პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი კარანტინის წესებს მკაცრად იცავს.

რამდენიმე დღის წინ გაჩნდა ვიდეო, სადაც ჩანდა, რომ ნეიმარი თვითიზოლაციაში არ იმყოფებოდა, მაგრამ თვითონ ბრაზილიელი ამ ვიდეოს სიცრუეს უწოდებს:

– არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ვიდეო, მაგრამ, მინდა, ყველას ვუთხრა, რომ კარანტინის წესებს მკაცრად ვიცავ და კვირაზე მეტია, სახლში ვიმყოფები. ვიცი, რომ ამ წესების დაცვა აუცილებელია

სამუელ უმტიტი, შესაძლოა, ჩელსიში გადავიდეს

ბარსელონის ცენტრალური მცველი სამუელ უმტიტი ზაფხულში, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს, რადგან მისი თამაშით ბარსელონაში კმაყოფილი არ არიან.

უმტიტის რამდენიმე ვარიანტი აქვს და მისი შეძენით ინგლისური გუნდები არიან დაინტერესებულნი, რომელთაგანაც ყველაზე დიდ ინტერესს ლონდონის ჩელსი იჩენს. ლონდონელები მზად არიან, უმტიტის ტრანსფერში 50 მილიონი ევრო გადაიხადონ და ეს თანხა ბარსელონას აკმაყოფილებს.

ამჟამად უმტიტი, ისევე, როგორც ბარსელონის სხვა ფეხბურთელები, კარანტინში იმყოფება.



ბენზემა: „ჟირუ ჩემი დონის ფორვარდი არ არის“

მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ოლივიე ჟირუსთან შედარებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ოლივიე მისი დონის ფეხბურთელი არ არის.

ბენზემამ განაცხადა, რომ პატივს სცემს ჟირუს და მას ძლიერ მოთამაშედ მიიჩნევს, მაგრამ ჟირუ ისეთი სტაბილური არ არის, როგორიც თვითონ კარიმი:

– არ მინდა, არასწორად გამიგონ, მაგრამ მაღიზიანებს, როდესაც ერთმანეთს გვადარებენ. ვფიქრობ, რომ მე წლების განმავლობაში უფრო სტაბილური ვიყავი და შევძელი ფორმის შენარჩუნება, რაც ჟირუს ხშირად არ გამოსდიოდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ჟირუ ძლიერი ფორვარდია..

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

აჩიკო ნიჟარაძე: „ყველამ ერთმანეთი უნდა გავიტანოთ“

ასე მიაჩნია მომღერალ აჩიკო ნიჟარაძეს და პირობას დებს, რომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებს:

– მესმის, რომ ხალხს არა აქვს საშუალება და ყველა იმას ლაპარაკობს, რომ საჭმლის ფული არ აქვთ. ნამდვილად მესმის ამ ხალხის, აუცილებლად უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ასეთ ადამიანებს, რომ ეს 2 თვე სახლებში გაჩერდნენ და მშივრები არ დაიხოცონ.

ჩვენ ყველამ ერთმანეთი უნდა გავიტანოთ ეს 2 თვე, რომ შევძლოთ ამ ვირუსის დამარცხება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებს, ვისაც უჭირს ძალიან, ჩვენც უნდა დავეხმაროთ, თან აუცილებლად, როგორც ძველად, ომის პერიოდში, ძალიან კარგად მახსოვს, მეზობლები ერთმანეთს როგორ ვეხმარებოდით, როგორ ვუყოფდით ერთმანეთს პურსა და ელემენტარულ საკვებს. ასე უნდა მოვიქცეთ ახლაც. მე, პირადად, რაც შემიძლია, მაქსიმუმს გავაკეთებ.

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ოთახში ნიშა, სადაც საწოლია განთავსებული; 6. ბიბლიის ათი მცნება; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქერის პური; 16. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. სვლის მიმართულება, გეზი.

თარაზულად: 1. კუთხე საქართველოში; 5. ინდოეთის ეროვნული გმირი; 7. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთში; 10. უნივერსიტეტი პარიზში; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 20. ჩინეთში გამოყვანილი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 21. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა